



ნარგიზ  
ფერდილაძე




გმარლებით  
ღმერთ!

2017 წ.

ნატგიბ ფერმილაძე

გმადლობელ  
ღმერთ!



თბილისი 2017 წ.

რედაქტორი  
თეა კობახიძე

გამოცემლობის მთავარი რედაქტორი  
შოთა ცინცაძე

კორექტორი  
ნუცა ადეიშვილი

მხატვრული გაფორმება და  
კომპიუტერული მომსახურება  
ბორის (ბოკა) ქუთათელაძე

წიგნი დაიბეჭდა:  
სტამბა შპს „პოლიგრაფლუქსში“

ISBN 978-9941-0-9718-8

© ნარგიზ ტურძილაძე - 2017



ნატგიჩ ფუტბილაძე

## ავტოპიოგრაფიის მაგიერ...



დავიბადე რა-  
ჭაში. ულამაზეს ამ-  
ბროლაურში. ლე-  
ონიდე ტურძილაძის  
მრავალშვილიან  
ოჯახში. პროფესიით  
პედაგოგი ვარ – ქარ-  
თული ენისა და ლიტ-  
ერატურის სპეცია-  
ლობით. 42 წლიანი

მუშაობის სტაჟით. ლექსებს ადრეული  
ასაკიდან ვწერ, მაგრამ უფრო ინტესიურად  
სოლიდური ასაკიდან. როცა ჩემს სილალით  
სავსე ბედნიერ ცხოვრებაში უსაყვარლეს  
ადამიანებთან განშორებით გამოწვეული  
დიდი და უსაშველო სევდა შემოიჭრა.

ავტორი ვარ ორი კრებულის „ქალი  
სარკეში და „მარტოხელა მარტოსული“,  
აგრეთვე მამისადმი მიძღვნილი წიგნისა  
„რაჭის მოძღვარი“.



ვარ რედაქტორი გაზეთ „რაეოს“  
მიერ გამოცემული 17 ტომიანი ლექსების  
კრებულებისა „ლექსო ზიარო სულისა“, რო-  
მელის ყველა კრებულშია შესული ჩემი ლე-  
ქსები და მოთხრობები.

ეს პატარა კრებული ეძღვნება ცა და  
ქვეყნის შემოქმედს, რადგან მხოლოდ ლვოს  
რწმენასა და სიყვარულში ვიპოვე საშველი  
ჩემი სევდისა და მწუხარებისა, რისთვისაც  
„გმაღლობეთ ლმერთო“.



ნატგიჩ ფუტბილაბე

\* \* \*

ღმერთო, შემინდე  
ცოდვა ურიცხვი,  
გთხოვ, მაპატიო,  
რაც შემეშალა.  
ო, მომიტევე,  
რაც ვერ შევძელი,  
რაშიც არ მეყო  
ღმერთო, მე ძალა!  
ვეცადე, მაგრამ  
დავრჩი უვიცი,  
ვერ შევძელ უფრო  
მეტი მესწავლა.

2006.07.01.



## ხატის ნინ

ღმერთო, შემინდე  
უმაღურს და  
ათასგზით ცოდვილს,  
ბოლო მოულე  
ჩემს წამებას,  
ამაო ლოდინს...  
ბევრი შევცოდე,  
ვერ შევირგე  
შენი წყალობა,  
შენ მაძლევდი და  
ვერ მიიღე ჩემგან  
მადლობა.  
არა ვარ ლირსი,  
უზომო მაქვს  
ძველი ვალები,  
სინანული მკლავს,  
ცრემლებით მაქვს  
სავსე თვალები.  
მაინც შემინდე,  
მაპატიე,  
გემუდარები!  
– ნუ დამსჯი ცოდვილს,



ნატგიჩ ფუტბილაბე

არ დამიხშო  
გულის კარები!  
... ხატის წინ ვდგავარ,  
ცრემლებით და  
სავსე ვალებით,  
მუხლმოყრით შეგთხოვ –  
– მაპატიე, გემუდარები!

4.04.2010

ბრწყინვალე აღდგომის  
დღესასწაული

\* \* \*

ნეტავი მას,  
ვინც თვის ვალი  
ლირსეულად მოიხადა,  
ვინც აქ დათესილი  
მადლით  
იმ ქვეყანად გაიხარა!

28.08.2010



ყველა მიყვარდეს,  
ვინც შეაწევს  
სიტყვას ჩაგრულებს  
და ისიც, თუნდაც,  
ვინც სიყვარულს  
არ იმსახურებს;  
მე მინდა მქონდეს  
იმის ძალა,  
იმის ბუნება,  
რომ შევძლო მათი  
ლვთის პირისკენ  
შემობრუნება...  
– მოვედი, რათა  
სიკეთე ვთესო,  
მოვედი, რათა  
მიყვარდე,  
ღმერთო.



მოვედი, რათა მიყვარდე, ღმიურთო

მოვედი ქვეყნად,  
რომ შემეგრძნო  
უფლის დიდება.  
დილით მზე ცაზე  
ღვთის წყალობით  
როგორ ბრწყინდება.  
თვალით მეხილა  
ბუმბერაზი მთები  
და ზღვები,  
შემოლამება მთაწმინდაზე,  
თუნდაც ეს დილა...  
სმენა დამეტკბო  
გარიურაჟზე  
ბულბულთ გალობით.  
მართალთათანა ვყოფილიყავ  
ჩემი ქალობით..  
მოვედი, რათა  
ძე კაცისა  
გულით მიყვარდეს,  
ამპარტავნება,  
შური, მტრობა  
თვალს არ მიბამდეს.



## საქართველოს გაუმარჯოს

ღმერთმა იმას გაუმარჯოს,  
ვინც ნათელ გზით იარა,  
და, რაც უყვარს, გულით უყვარს,  
მხოლოდ სიტყვით კი არა.  
გაუმარჯოს მას, ვინც საქმით,  
საქართველოს იცავდა,  
ვინც იცხოვრა ქრისტეს მცნებით,  
უფლის მადლი იწამა,  
გთხოვთ, სამშობლოს სადიდებლად  
შევსვათ სავსე ფიალა!  
ვადლეგრძელოთ საქართველო,  
ნაჭერ-ნაჭერ კი არა,  
ქართლ-კახეთით, იმერეთით,  
რაჭა-ლეჩესუმიანად,  
მისი მთით და მისი ბარით,  
ვენახიან-ტყიანად,  
აჭარა და აფხაზეთით,  
სამაჩაბლოიანად.  
საქართველოს გაუმარჯოს,  
გაუმარჯოს მთლიანად.  
მამულისთვის თავგანწირულ  
კარგ ქართველებიანად.

31.03.2010



ნატგიჩ ფუტბილაბე

შემინდე, ღმერთო!

ბევრი მაქვს, ღმერთო,  
ფიქრითნი ცოდვა,  
გთხოვ მაპატიო,  
უბედური ვარ  
და გიჟიც ცოტა...  
მხოლოდ შენ მიცნობ  
ყველაზე კარგად,  
სიცოცხლე მექცა  
სევდად და დარდად...  
შენზე ლოცვის დროს  
ბედნეიერი ვარ,  
ბედნიერი ვარ,  
როცა ვმღერივარ.

P.S.: მიმილე, ღმერთო,  
როგორიცა ვარ,  
ცუდი არა ვარ,  
ყველას ვფიცავარ.

12.05.2012



„ნეტარ არიან მორცხუნენი“

შენ ჩემთანა ხარ, ღმერთო  
მუდამ, ტკილილო იესო,  
რაც კი შეგიცან,  
მარტოობის აღარ  
მკლავს სევდა.  
შენით იწყება დილა ჩემი,  
შენით მთავრდება...  
როცა ავად ვარ,  
როცა მილხინს  
და მიხარია,  
შენს სრულ არსებას,  
სიახლოვეს  
მე ვგრძნობ ძალიან.  
დედათა შორის  
კურთხეულო,  
მზეო მარიამ,  
მე შენ გიმადლი  
დღეებს მზიანს,  
ღამეს – მთვარიანს –  
და მიხარია,  
ბედნიერ ვარ ამით  
ძალიან...



ნატგიჩ ფუტბილაბე

„ნეტარ არიან  
მორწმუნენი,  
ნეტარ არიან!“

20.08.2010

\* \* \*

ჩვენ ყველა მგზავრი  
ვართ,  
იმქვეყნად წამსვლელნი,  
ნეტა მას, ვისაც აქ  
დარჩება სახელი...  
ვინც შესძლებს  
ლვთის რწმენით  
იაროს ბოლომდე,  
მხოლოდ ის  
ასცდება  
ცეცხლსა და ჯოვანხეთს.

5.01.2004

ღმურთო ამისრულე საწადელი!

ლმერთო,

ამარიდე განსაცდელი,

რა ვქნა,

ჯერ არა ვარ წასასვლელი,

და თუ

კიდევ დამრჩა გასავლელი,

იქნებ

ავიხდინო საწადელი...

იქნებ

კიდევ ბევრჯერ მოვიხილო

რაჭის

ჯადოსნური მთა და ველი;

და ის

ოლრო-ჩოლრო ბილიკები,

თავის

თვალხატულა გვირილებით

ისევ

მოვიარო, მოვიხიბლო

მწველი

სურვილით და ძველი გზნებით.

ლმერთო,

ამისრულე საწადელი!

15.05.2010



ნატგიჩ ფუტბილაბე

\* \* \*

ღმერთო, ამარიდე  
ცოდვაში დაცემას,  
სირცხვილს ამარიდე,  
ღმერთო!  
მხოლოდ სიყვარულით  
მაცხოვრე, უფალო,  
დამლოცე,  
მუხლმოყრით შეგთხოვ!

15.06.2010

\* \* \*

თუკი, ღმერთო,  
შენთვის რამე მითხოვია,  
ან ოდესმე შენგან  
რამეს მოველი,  
სამშობლოს მზე  
გამიპრნყინე,  
გეხვეწები!  
უკეთესის არაფრის  
ვარ მთხოვნელი!

1.02.2011



## უფლის რჩეული

მე ღვთის რჩეული  
ვიყავ ყოველთვის,  
უფალს შევწირე  
მზითევი ჩემი...  
სულ პანაწინა,  
სალოცავებში  
ბებოს დავყავდი  
მე გამორჩევით..  
უფლის დღეებში  
ფეხშიშველ ბებოს  
უკან მივდევდი  
ისე, ვით კრავი...  
ჩოქვით ვუვლიდი  
დანგრეულ ტაძრებს,  
ვეფერებოდი  
დაკაწრულ ფრესკებს...  
იქ – რაჭის მთებში,  
პატარა ბავშვი,  
ღმერთს დავეძებდი  
სანთლებით ხელში.  
– რა ბედნიერი ვიყავი  
მაშინ – მშობლიურ სახლში...



ნატგიჩ ფერბილაძე

სულ გვერდით მყავდა,  
ვინც კი მიყვარდა  
და არვინ მწამდა  
მე ღმერთის დარად.

10.05.2010

### ვარ შენზე მლოცველი

სულ ვტირი და ვწუხვარ,  
სულ ვდარდობ ამაზე,  
ვლოცულობ: – უფალო,  
იმედით აგვავსე,  
ჩვენს ტანჯულ მიწაზე  
ამრავლე ქართველი –  
მთესველი და მხვნელი,  
ერთგული, გულწრფელი!  
– ვარ შენზე მლოცველი,  
დაგინთე სანთელი,  
ღმერთო არ მოგვაკლო  
ღვთისმშობლის ნათელი!

10.05.2006



## უფალო, შემიყენე!

დარდი, სევდა, წუხილი  
გულში არ დაეტია,  
სიცოცხლეში, იცოდე,  
მწუხარება მეტია.  
ვერთობით და ვხმაურობთ,  
ვუმკლავდებით განსაცდელს,  
მტერს თვალს ვუფსებთ,  
ვკეპლუცობთ,  
ვიცვამთ ფერად ტანსაცმელს,  
ჩვენს ბუდეებს ვიშენებთ  
ამ ცხოვრების მდგმურები,  
შვილებს ვაჩენთ,  
ვწვალობთ, ვზრდით,  
ხშირად ბედს ვემდურებით...  
... არც ჩემთვის არ ყოფილა  
ეს ცხოვრება ადვილი,  
ვერ მივხვდი, როდის იყო  
ჩემი დრო და ადგილი.  
ყველგან დავაგვიანე,  
ანდა ადრე მივედი,  
გამიცრუა ცხოვრებამ  
ბევრჯერ რნძენა — იმედი.



ფარხმალს მაინც არა ვყრი,  
ქედს არ ვუხრი განსაცდელს,  
გმირულად ვუმკლავდები  
ცხოვრებას, ძნელ გასაძლება...  
შურს არ ვუღებ გულისკარს  
და არც ლმერთს ვემდურები,  
ყველა განსცადელს ვხვდები  
ვფიქრობ, ჩვეულ ლირსებით.  
სამშობლოზე ვლოცულობ,  
სიყვარულის მადლს ვთესავ,  
ჩემს სითბოს ვუნაწილებ  
მეგობარს და ნათესავს...  
თუ ინებებს უფალი და  
ტკბილ სიბერეს მაღირსებს,  
შეცდომებს მაპატიებს,  
გულს იმედით ამივსებს,  
მუდამ მასზე ვილოცებ,  
მთლიანად მას ვეძლვნი თავს,  
ჩემს გულს სანთლად დავუნთებ  
ღვთისმშობელს და უფლის მადლს!  
– უფალო, შემიწყალე,  
შვება მომეც, მიწამლე!  
– უფალო, შემიწყალე!

28.04.2011



## სულ შეხე ვლოცულობ,

მამულო, ძვირფასო,  
შენს აწმყოს, შენს წარსულს  
თავს შემოვევლები;  
ხატის წინ, მუხლმოყრით  
ლმერთს შევთხოვ ვედრებით:  
– სამშობლო მიცოცხლე  
მოებით და ველებით,  
ერთგული, ჭკვიანი,  
ბრძენი ქართველებით...  
– ათასჯერ ჭირნახულს,  
დანგრეულს, ნახანძრალს,  
დაკანკრულ ფესვებით –  
შენს ციხეს, შენს ტაძარს  
ვკოცნი და ვეხვევი,  
ვასველებ ცრემლებით...  
ვნატრობ, კვლავ ნიკოფისით,  
იქ — დარუბანდამდე  
გაგედგას ფესვები,  
ბრწყინავდე დიდებით,  
ერთგული შვილებით  
და შვილის შვილებით.  
შენ ნატრობდნენ



შენს ქებას ამბობდნენ  
და ჩვენგან სწავლობდნენ  
სამშობლოს სიყვარულს...  
ბევრი რამ მიკლავს გულს,  
– არა ვართ მართლები,  
ცალი ფიქრობენ  
ძველები... ახლები...  
შეხლა-შემოხლაში  
გვეცლება სახლები,  
სოფლები გვევსება  
ძველ ნამოსახლებით.  
– ღარიბი შვილები  
კვდებიან მშივრები,  
ნაგავში ეძებენ  
ლუკმაპურს დასარჩენს...  
ან სხვაგან მიღიან,  
მიღიან... მიღიან...  
ოჯახის სარჩენად  
და გადასარჩენად;  
ბედის საძიებლად  
სახლებსაც ჰყიდიან...  
ზოგი იძულებით,  
და, მაინც მიღიან



რომში და პარიზში,  
კვიპროსში, ნიცაში,  
იქ — ამერიკაში და  
ჰოლანდიაში ცისფრებად,  
შავებად, გადასაგვარებლად...  
ჩვენ ვრჩებით ეულნი...  
უფალი გვიწყრება,  
გვექცევა მამული...  
ქარი და გრიგალი,  
ნგრევა და მიწისძვრა  
გვზარავს და გვაშინებს.  
წამხდარ ცხოვრებაზე  
დარღი არ გვასვენებს.  
რაღაცას ვფაფხურობთ.  
ვშრომობთ და ვხმაურობთ,  
თითქო ვსაქმიანობთ,  
ვჩქარობთ, არ ვგვიანობთ.  
მაინც არ გამოდის...  
მიკვირს და ვჩურჩულებ  
— უფალო, რა მოგვდის?!  
— მკლავსა და მაწამებს  
მე შენზე ფიქრები...  
— სულ შენოვის ვილოცებ,  
სანამდეც ვიქნები.

1.01.2009



## მხსნელი მინდა მადლიანი

ბოდიშს ვიხდი, ღმერთო,  
რადგან წარამარა  
გაწუხებ,  
მაგრამ რა ვქნა,  
ველარ ვუძლებ  
მკაცრ ცხოვრების  
მარწუხებს...  
გულს სისუსტე  
მორევია,  
ალარა ვარ,  
რაც ვიყავ,  
ფიქრის შავი  
მორევია  
მარტოსულს რომ  
გამრიყავს.  
მხსნელი მინდა,  
მადლიანი,  
ბოლოში ვინც  
გამიყვანს.

7.01.2007



## არ მოეშვა, არ დაცხე!

არ დაეშვა ქვევით,  
ნარგიზ,  
არ მოეშვა,  
არ დაცხრე.  
სიკეთის და  
მადლის თესვით  
სატანა დაამარცხე!  
ეგებ ღმერთმა  
გაპოვნინოს  
გზები, მისკენ  
სავალი.  
და სურვილიც  
აიხდინო  
ყველაფერზე  
მთავარი...  
სევდას თავი  
დააღწიო,  
აისრულო,  
რაცა გსურს,  
ეგებ  
ვალმოხდილი



ნატგიჩ ფუტბილაბე

შეხვდე  
ამ ცხოვრების  
დასასრულს.  
... არ დაუშვა  
ქვევით.  
ნარგიზ,  
მალლა-მალლა  
იარე!

10.05.2008

\* \* \*

ღმერთო, მაცოცხლე ცოტა ხანს,  
არ დამიხუჭო თვალები,  
არ გამატანო იმქვეყნად  
გადაუხდელი ვალები.  
სამშობლოს ბედზე მლოცველად,  
მაცოცხლე, გემუდარები!

7.10.2010

## გმაღლობით რმუტთ გადლობელი ღვერთისა

მსახურად და მონად გავჩნდი  
დარდისა და სევდისა,  
მე შვილი ვარ, სანდო შვილი  
ამ პატარა ქვეყნისა.  
სულ მცირე რამ მიხარია,  
სულ მცირე რამ მადარდებს.  
ვინც არ მომწონს,  
თვალს ვარიდებ,  
მივუხურავ დარაბებს,  
ოლონდ მამულს ულხინდეს და  
არა ვჩივი არაფერს...  
მე მეოთხე ასული ვარ  
ექვსშვილიან დედისა,  
სულმრთელი და გულმდიდარი,  
მომდურავი ბედისა,  
სიყვარულზე მომღერალი,  
მეგობარი სევდისა...  
ალბათ ლირსი არც ვიყავი  
მისი, რაც არ მეღირსა...  
რაც ვარ, მითაც მადლობელი  
ვარ, მაღალი ღმერთისა,  
მას ვავედრებ ჩემს ობოლ სულს,  
გავხდე ლირსი ზეცისა.

17.01.2015



ნატგიჩ ფუტბილაბე

## ილია მეორეს

ჩვენი ქვეყნის ჭირისუფალს,  
მთის ბროლივით სპეტაკს, სუფთას,  
ყველა ნატვრა ახდენოდეს,  
მუხლმოდრეკილს რაც კი უთქვამს,  
მისი ლოცვა არ მოშლოდეს  
საქართველოს თავისუფალს!

P.S. მეც ხატისწინ დამხობილი,  
მუდამ ამას ვდარდობ, ვჩივი,  
რომ სხვა არ გვყავს, მისი მსგავსი,  
ერთგული და სანდო შვილი.

4.01.2014



ღვთისმშობელო, შენი კალთა დამზარე,  
შენი კალთა დამაფარე!

ღვთისმშობელო, შენი კალთა დამზარე,  
დამიცავი – იმედისგან დაცლილი,  
ცხოვრებაში უამრავჯერ გამიავდორდა,  
დამეკარგა მოსვენება და ძილი.



ტკბილი სიტყვა, თბილი გული მომენატრა,  
არ ყოფილა მარტოობა ადვილი...  
ძნელ ცხოვრებას, უფერულ წლებს ვეღარ  
ვუძლებ,  
ვერა ვპოვე ვერსად ჩემი ადგილი,  
მოსვენება მინდა ვპოვო, დამეხმარე,  
გევედრები!-ტირის სული დალლილი.

ბევრი ვცოდე, გთხოვ სულგრძელად  
მაპატიო,  
არ დამტოვო იმედისგან დაცლილი.

იქ, მართალთათანა მინდა დავემკვიდრო,  
მათთან მინდა იყოს ჩემი ადგილი.  
იქნებ შენს ძეს შეავედრო ჩემი თხოვნა,  
მომანიჭოს სულის ლხენა ნამდვილი.  
გევედრები, ღვთისმშობელო, დამეხმარე!

28.08.2010



## ჩემი სტუმარი

ჯერ არ მყოლია  
მე ასეთი  
დიდი სტუმარი,  
მუხლმოდრეკილი  
ვდგევარ მის წინ  
უტყვი, მდუმარი,  
ვლელავ ძალიან  
ვერ ვისვენებ,  
თან მიხარია,  
თავად მეწვია  
სტუმრად სახლში  
„ავე მარია“...  
ჭერი ამალლდა,  
გულში მზეა,  
გარეთ დარია,  
ისე მიყურებს,  
თითქოს ჩემი  
მეგობარია.  
იმედს მიღვიძებს,  
ძალას მმატებს,  
სიცოცხლის ხალისს...  
გმადლობთ მარიამ!



ნატგიჩ ფუტბოლაბე

მომიტანე იმედი ხვალის...  
 სამი დღე მყავდა  
 სტუმრად სახლში  
 „ავე მარია“,  
 გულში მზე ჩადგა,  
 სულში – სითბო  
 და მიხარია.

2012.05

მოდი, უფალო იცსო!

შემინდე, დიდო უფალო,  
 რაიც ვერ შევძელ ჩემითა,  
 რაც შემეშალა ამ ქვეყნად  
 უნებლიერ თუ ნებითა!  
 მართალთათანა მამყოფე,  
 შენს მაღალ მადლს მაზიარე,  
 ბინა ნათელში დამიდე,  
 უნამლე ამ ჩემს იარებს!  
 გთხოვ, სასჯელისგან დამიხსნა,  
 არ დამატეხო თავს რისხვა.  
 მოდი! – უფალო იესო,  
 მოდი! — შეგინდე! – თქვი ესო.

28.04.2014



## ასეთია უფლის ნება

ალდა ქარსელაძეს

რა უეცრად და რა ჩუმად  
წახველ ჩვენგან, მიგვატოვე,  
ჩამიყენე გულში სევდა,  
დამიმძიმე სიმარტოვე...

P.S ჩვენც ყველანი წავალთ იქით,  
საიდანაც არ მოდიან,  
დამთავრდება, დასრულდება  
ამ ცხოვრების ჰარმონია.

ყველა წავალთ ამ სოფლიდან,  
მხოლოდ ის არ ვიცით როდის,  
რაც არ უნდა არ გვინდოდეს,  
მოსასვლელი მაინც მოდის...  
ასეთია უფლის ნება;

– სულ ყველანი წავალთ იქით,  
ზოგი ადრე, ზოგი გვიან,  
ჩვენი გზით და ჩვენი რიგით.  
ამ ცხოვრებას – ცრუს და უნდოს,  
გადავივლით ბენვის ხიდით.



ნატგიჩ ფერმილაბე



წელი წელს მისდევს,  
დღე დღეს მიჰყვება,  
თავს კი ვერ ვაღწევ  
მიწიერ ცოდვებს,  
მასწავლე, ღმერთო,  
როგორ ვიცხოვო,  
რით შევძლო, სული  
რომ სუფთა მქონდეს?

16.05.2011



## გადავიღალე

ბოლომდე შევსვი სევდის ფიალა,  
ბევრი სიმწარე ვნახე,  
ბედმა ბოლომდე გამატიალა,  
ფეხქვეშ დამიგო მახე,  
არ შემიბრალა ოხერ-ტიალმა,  
მთლად წამიშალა სახე...  
ალარ მალელვებს არც გაზაფხული,  
არც შემოდგომა მშვიდი,  
გაფრინდა წლები, სიცოცხლით სავსე,  
გაქრა ოცნება დიდი.  
გადავიღალე, ახლა ცხოვრება  
სევდა-ვარამში მიდის...  
მხოლოდღა ერთი სურვილი დამრჩა,  
– სიკეთე უხვად გავცე.  
უფალს მივუძლვნა ყოველი წამი,  
ხატის წინ სანთლად დავდნე.  
შემინდე ღმერთო, რაც შემეშალა  
წუთისოფლის გრძელ გზაზე.  
გაჩენის დღეებს ნუ შემანანებ,  
გთხოვ, ნუ გამაკრავ ჯვარზე!

27.02.2013



### მატო ბეპო

ღვთის მორწმუნე მატო ბებო,  
სადმელი და ჩვენი ეზო,  
მუდამ ტკბილად მაგონდება...  
თუ გვიჭირდა, ჩვენთან იყო,  
არ გვაკლებდა რძეს და ერბოს,  
ცისფერთვალა, კაფანდარა,  
მუდამ სხვისთვის ირჯებოდა,  
გაჭირვებულ ოჯახებში  
გრიგალივით იჭრებოდა...  
ექიმბაში ქალი იყო,  
მარჯვე, კოლხი ქალის დარი...  
ფეხით ჰქონდა შემოვლილი  
რაჭის ყველა სალოცავი...  
გულმხურვალედ ლოცულობდა,  
შენირული ჰქონდა თავი,  
მის თბილ გულს და კეთილ სიტყვას  
ძალა ჰქონდა საოცარი.  
მთელი რაჭა აფასებდა,  
ირგვლივ არ ჰყავდა ბადალი,  
სანამ ის ცოცხალი იყო,  
ვერ გვჩაგრავდა ავი თვალი.  
მარხვა-ლოცვით გვიფარავდა  
ნაზი, კაფანდარა ქალი.

09.02.2014



## მე მოვალე ცვიმად

როცა მე წავალ,  
კვლავ მოვალ წვიმად,  
დავეპკურები გამშრალ  
ვენახებს,  
ჰო, დავბრუნდები  
შხაპუნა წვიმად  
და დედამიწას  
ავაფერადებ.

05.2014

\* \* \*

გთხოვ, წყალობა არ მომაკლო  
მამავ, ძევ და სულინმინდავ,  
თქვენს გარეშე ვერ ვარსებობ,  
უთქვენობა გამიჭირდა.  
ძალა მინდა დამიბრუნოთ,  
ნერა რომ არ გავხდე მტრისა!



ნატგიჩ ფუტბილაძე

## მიცეა კელაპტრად დავენოო

მინდა ბოლმდე ავენთო,  
 სიკეთის მადლით ვბრნყინავდე,  
 მინდა, კელაპტრად დავენთო,  
 გავცე სითბო და სინაზე,  
 შეუძლებელი შევიძლო,  
 იმ ჩემი მტრების ჯინაზე,  
 ვერაფრით შევეგუები  
 სიცოცხლე გასაწყინარდეს.

2015.03

## მამა გაპრიელს

გთხოვ მომიტევო ეს სისუსტე,  
 მამა გაბრიელ,  
 სასომიხდილმა ჩავიმუხლე  
 მხოლოდ წამიერ.  
 მომეცი ძალა, გევედრები,  
 მამა გაბრიელ,  
 საქართველოსთვის  
 ვლოცულობდე  
 მრავალუამიერ!

2.12.2013



## იხსოს

მხოლოდ შენს იმედად,  
შენს მღველად დავრჩი,  
გამიქარვე სევდა,  
ამარიდე დარდი!  
სულ შენზე ვლოცულობ,  
რაც კი ქვეყნად გავჩნდი,  
ლვთის რწმენას მივენდე  
მატო ბებოს მადლით.  
ტაძრებში დავყავდი  
სულ პატარა ბავშვი  
და შენ დაგეძებდი  
ანთებული სანთლით.  
შეგიყვარე გულით  
კეთილ ბებოს ბაძვით  
და დღემდე მოვედი  
ლოცვითა და მარხვით.  
შემენიე, შეგთხოვ,  
ნაწამებს და დალლილს,  
გამიქარვე სევდა,  
ამარიდე დარდი!

2009.10.05



## მინდა გიორგის

წმინდა გიორგი,  
სანთლით ხელში  
მუხლმოყრით შეგთხოვ,  
გაგვაძლიერე ისე,  
როგორც ვიყავით  
ერთ დროს...  
ავი მტრებისგან იხსენ  
ერი გამორჩეული,  
შენგან წყალობას  
ჩვენ ხომ მუდამ  
ვართ მიჩვეულნი...  
გემუდარები,  
დაიცავი ჩვენი მამული,  
გვასწავლე ქართველთ  
„ქართლის ნდობა და  
სიყვარული!“  
კვლავ დაგვიბრუნე  
დაკარგული მიწა ქართული,  
გაგვიმოლიანე საყვარელი  
ჩვენი მამული!

2012.6.05



## მონდა ელიას

ათი წელია, რაც შენს ძალას  
ვიცნობ, ელია.  
მე იმის შემდეგ ვეღარაფრით  
მომისვენია...  
წამომაყენე, შენს წინ როცა  
ცრემლებს ვაფრქვევდი.  
მხრებში დამავლე ხელი,  
იცი? – გავშრი,  
გავხევდი!!!  
კვლავ შენს წინ ვდგავარ —  
მუხლმოყრილი,  
ძმის სულს გავედრებ,  
მისი სულის მხსნელს  
წმინდა სანთლით  
ხელში დავეძებ.  
მინდა დავმშვიდდე,  
გავისტუმრო ძველი  
ვალები.  
ფიქრები მტანჯავს,  
გამიქარვო ეგებ დარდები,  
შეუნდე ჩემს ძმას,

ლიონი

ნატგიჩ ფერმილაბე

მუხსლმოდრეკით  
გემუდარები!  
– მეც, მეც შემინდე,  
არ დამიხშო გულის  
კარები!

2014





## ახალი ცელი

ახალი წელი,  
გრძნობები ძველი,  
დარდი უძირო –  
ყოვლისმომცველი...  
გაუფერულდა  
ცხოვრება ჩვენი,  
აჩქარდა, გარბის  
წუთისოფელი...  
კარგს და სასწაულს  
აღარას ველი,  
ფიქრები მახლავს  
დარდის აღმძვრელი,  
მადარდებს ჩვენი  
ცხოვრება ძნელი...  
ხალხი ბობოქრობს –  
არ ჩანს საშველი...  
ვერავის ნახავ  
ირგვლივ კმაყოფილს,  
ზოგს სულ ბევრი აქვს,  
მაგრამ არ ჰყოფნის...  
ეს წელი იყოს  
კეთილნაყოფის,  
შეკავშირების,  
არადაყოფის!



ნატგიჩ ფუტბილაბე

ღმერთო, დალოცე  
 ახალი წელი,  
 ქარს გაატანე  
 ფიქრები მწველი,  
 მოგვისპე მტერი!  
 – ჩემო სამშობლოვ,  
 იყავ დღეგრძელი!  
 იმედის, რწმენის  
 იყოს ეს წელი!

04.2016

### უფლის ხელი

ყველაფერში, რაც ვაკეთე,  
 რაც შევქმენი წვით და გზნებით,  
 რაც ვიცხოვრე, ვიხმაურე  
 სიხარულითა და ცრემლით,  
 ამ ტანჯვა და განსაცდელში  
 და იმ სიყვარულის წლებშიც,  
 ყველაფერში, ყველაფერში  
 ურევია უფლის ხელი:  
 – არაფერი არ ყოფილა  
 მხოლოდ ჩემით,  
 მხოლოდ ჩემით...

2016. შობა



## ღვერთო

ჩემს სამშობლოს  
შეგავედრებ,  
მხარეს მზიანს,  
ხალხს პრძენს, სანდოს,  
მშვენიერს და თავაზიანს,  
გთხოვ, ნუ დააცარიელებ  
ჩემს საყვარელ რაჭას  
მთიანს,  
განსაცდელი აარიდე,  
გევედრები,  
გულმადლიანს!

\* \* \*

ტაძარში იწვის  
სანთელი მშვიდად.  
მაცხოვრის ხატთან,  
მუხლმოყრილი,  
ლოცულობს ქალი  
– წმინდა, უბინო...  
და ყურში ესმის  
ჩურჩული ციდან –  
გაიღებაო შენთვის  
მალე სამოთხის  
კარი.



ნატგიჩ ფერბილაძე

## ბევრს არ ვითხოვ

გაგვითენე, უფლის მადლო,  
კარგი წელი ახალი,  
არ მოგვაკლო ყველი,  
მჭადი, სტაფილო და  
ჭარხალი,  
ხვალის რწმენა,  
ჯანმრთელობა,  
სუფთა გული და თვალი,  
ზეცა ხშირად მოწმენდილი,  
ულრუბლო ცა, მაღალი,  
საქართველო ლირსეული  
და ქედშეულახავი!  
— ბევრს არას გთხოვ,  
ცოტას ვკერვარ,  
არ ვარ გაუმაძლარი...  
გაგვითენე, უფლის მადლო,  
კარგი წელი ახალი!

31.12.2015



## მამა გაპრიელს

მე კრძალვით შეგოხოვ –  
– ბედი მომეცი!  
მინდა მიცნობდეს  
ხალხი როგორც  
კარგი პოეტი.  
სახელიც მინდა  
მქონდეს ქვეყნად,  
რაკი მოვედი.

10.05.2015

## დედა თამარს

მუდამ სხვებისთვის მლოცველი,  
დაჭრილი გულის წამალი,  
ღვთის მოსავი და მორწმუნე,  
ქალია დედა თამარი.

გაჭირვებულებს ქომაგობს,  
– კეთილია და ალალი,  
სიკეთის ქმნა და მაღლია,  
იმისთვის საქმე მთავარი.

7.02.2017



## მარავ, ძევ და სულილებავ

სამებაში ამოვალ და  
იქ დაგინთებ სანთელს წმინდას,  
გულით გეტყვი სამადლობელს  
მამავ, ძევ და სულინმინდავ.  
– წუხელ, ღამის გათენება  
ვაი, როგორ გამიჭირდა,  
ჯოჯოხეთი გავიარე,  
შიშით გული ამიტირდა...  
მხოლოდ ლოცვით გავუმკლავდი  
გასაოცარ ამ ძნელ ღამეს,  
შეცდომების პატიება  
მუხლმოდრეკით ვთხოვე  
გამჩენს...  
ჯოჯოხეთის ღამე მქონდა,  
გათენება გამიჭირდა...  
ჩემი ლოცვა შეისმინა  
მამამ, ძემ და სულინმინდამ.  
როგორც იქნა გამითენა  
მზიანი, ნათელი დილა.

2016.10.11

გრადულთეთ ღმიურთო  
გევედრები, ნიკო ნეინდავ!

თვალსა ხიბლავს შემოდგომა  
ენით უთქმელ მშვენებით,  
რა საოცრად ბრწყინვალებენ  
მთები – ოქროს ფერები.  
შევყურებ და, ლამის გასკდეს  
გული ბედნიერებით.  
უფლის მადლით მოქარგულა  
ეს მთები და ველები,  
გაგაოცებს ნიკორწმინდა,  
ხოტევი თუ ველევი...  
გულგრილად გვერდს ვერ ჩაუვლი,  
ვერაფრით შეელევი;  
ჩემი ფეხით დავიარე  
იმ დღეს შენი მიწა წმინდა,  
საქართველო შევავედრე  
უფალს შენთან,  
ნიკოწმინდავ;  
– გალალდეს და გაიმართოს  
წელში ისე, როგორც მინდა!  
შენი მადლი და წყალობა  
არ მოგვაკლო მალლა ციდან,  
რაჭველებით გაგვიმრავლე

ლორთუ

ნატგიჩ ფერბილაძე

ჩემი რაჭა – ერთი ციდა!  
გევედრები, შემისრულე  
თხოვნა, ჩემო  
ნიკო წმინდავ!

09.2016

## სამშობლო ჩიმი საფიცარია

პოეტს სამშობლო  
უყვარს ძალიან,  
სამშობლო მისთვის  
უფლის დარია,  
ენაა, რწმენა,  
მზისა დარია...  
თუ მამულს უჭირს,  
გული მკვდარია.  
თუ ულხინს,  
მაშინ ის  
მდიდარია.

სამშობლო ჩემი  
საფიცარია,  
ენაა, რწმენა,  
მიყვარს ძალიან!

2014



## მე მაინც გეადლობ

ჩემს მშობლებს,  
ძმას და დებს

მე ცოცხალი ვარ,  
ვწუხვარ ძალიან...  
ეს ჯილდო არის  
თუ ღვთის სასჯელი!  
– მტანჯავს ფიქრები  
მარტოდდარჩენილს...



თუკი ჯილდოა,  
გმადლობთ, უფალო!  
მაგრამ ვით გავძლო  
უხმლოდ, უფაროდ?!  
ჩემი ფარ-ხმალი კი  
თქვენ იყავით.  
მართლა ზღაპარი,  
მართლა იგავი...  
სულ თქვენზე ვფიქრობ,  
დღეა, ღამეა...  
მახსოვდეთ, ეს ხომ  
ჩემი ვალია...  
წიგნი მოგიძლვნათ  
მინდა ძალიან,  
ყველას ვუამბო  
თქვენი ამბავი,  
რომ თქვენნაირნი  
აღარ არიან...  
მარტო დარჩენა  
თუმც კი მწარეა,  
მე მაინც გმადლობ,  
ღმერთო, ძალიან...



P.S. დარდს და სევდას

გავემიჯნო,  
მინდა ძლიერ,  
მინდა ფეხზე  
დავდგე ისევ,  
თავს თუ ვძლიე,  
ძალა მომეც,  
ლვთისმშობელო,  
გეხვეწები,  
მომეხმარე,  
ეს სისუსტე  
მაპატიე!

02.27.2012



ნატგიჩ ფუტბოლაბი



ლეონიდი გერძიაშვილი



ცეკი გურგალაძე



მე და ჩემი დები, ჩვენს ახლობელთან



ლ ლ ლ

ნატგიჩ ფერმილაბე



ჩემ პირველ  
მოსწავლეებთან



სოცრუსთავის  
რედაქციაში



## დედა ღვთისმშობელს

როცა მტკიცა ან  
უძლურების  
შემიპყრობს სევდა,  
მე შენ მოგიხმობ,  
ღვთისმშობელო,  
შეწევნად ჩემდა.  
მონდობილი ვარ  
შენზე გულით,  
ვიცი გამიგებ.  
შენს დიდ წყალობას  
ველი, როგორც  
ლიმილს ბედისა.  
ნუ გამიმტყუნებ  
იმედს, შეგთხოვ,  
დედაო ღვთისა,  
გამხადე ლირსი  
შენდობის და  
შეწყალებისა!  
2015 მარიამობა



ნატგიჩ ფუტბილაბე

## ღმერთს ესმოდა ჩემი ლოცვა

ღვთისმშობელო, მთელი ღამე  
მუხლმოყრილი ვიდექ ლოცვად.  
ჩემს ნაკეთებ კეთილ საქმეს  
აფუჭებდა წვიმა როცა.  
დავინახე, ღვთის განგებით  
სხივმა როგორ გააპო ცა,  
გადმოეშვა მზის ნათელი,  
გაანათა მიწა როცა.  
... და მე მივხვდი ღვთის წყალობას,  
ღმერთს ესმოდა ჩემი ლოცვა.

09.2011

## მამავ, ძევ და სულინებიდა

ძალა მომეც, კვლავ მიყვარდეს,  
მამავ, ძე და სულინმინდავ!  
თუმცა ბევრჯერ გამიავდრდა,  
თუმცა ბევრჯერ გამინვიმდა...  
ქვეყნად მოსვლა, გეფიცებით,  
მაინც ლირდა, მაინც ლირდა.

8.09.2014



## უფალო მისმინე!

შენგან შველა მინდა,  
უფალო მისმინე  
გვედრებ, ეს სიზმარი  
კარგად ამიხდინე!  
– ხატის წინ ვლოცულობ,  
ცრემლი მდის მდუღარე,  
დალლილ სულს მიშფოთებს  
ეს ლამე მწუხარე...  
– ლმერთო, შემეწიე  
მე – საპრალო მხევალს,  
ეშმაკს წუ დაუთმობ  
სავსე ვაზის მტევანს,  
დამეხმარე, ლმერთო,  
წუ ჩამიქრობ რწმენას!  
– ანთებული სანთლით  
შენს წინ კრძალვით  
ვდგევარ.

9.03.2014



ნატგიჩ ფუტბილაბე

## შემოქმედი სული გადამირჩინე

ლამეა, ცვრიან წვიმის წვეთები...

– ღმერთო, მიშველე, გთხოვ,  
გევედრები!

გადამირჩინე სული, ვძერდები!

– ვიცი, შემინდობ, მეიმედები...

შენ გევედრები: – ღმერთო, მისმინე,  
შეშლილი სული გადამირჩინე!

28.08.2014

## და უიღგლო სიყვარულეა ამაცრეამლა

გაზაფხულმა შენი თავი გამახსენა,  
და ის დარდიც ძელებურად მომეძალა:  
უფალს ვთხოვე: გევედრები, მომეც  
ძალა,

რომ გავუძლო, ამ საშინელ დარდს და  
სევდას.

გამახსენდა, ყველაფერი გამახსენდა  
და უიღბლო სიყვარულმა ამაცრემლა.

3.04.2016



## ამინ, იყოს!

ბევრი საოცარი წამი  
ახსოვს კრწანისს,  
ახსოვს დიდგორს.  
ვდარდობ, სანატრელი უამი  
აღარ დაპრუნდება თითქოს...  
ღმერთმა არ ქნას ასე იყოს,  
მტერს ნატვრა არ ახდენიყოს!  
სამაჩაბლო, აფხაზეთი  
ღმერთს ვთხოვ, მალე  
ჩვენი იყოს!  
– ამით გავახარებთ კრწანისს,  
ამით ვასახელებთ დიდგორს.  
– ამინ, იყოს, ამინ იყოს!

2015.10.05



## ვეღრეპა

ამ უაზრო ცხოვრებაში  
აზრიანად მაცხოვრე,  
გთხოვ, ისე ნუ გამიმეტებ,  
განკითხვის ჟამს არ ვცხონდე.  
— ცრემლებს ნულარ დამადინებ,  
ნულარავის მატირებ,  
სიბერეს ნუ ჩამიმწარებ,  
თავგზას ნულარ ამირევ.  
ბოროტებას განმარიდე,  
შენს დიდ მადლს მაზიარე,  
წამლად ეცხე მოურჩენელ  
ჭრილობებს და იარებს!

20.04.2015



## ნუ შემაქცევ ზურგს უფალო!

მე, ამდენი სევდის პატრონს,  
ფიქრით სავსეს, შარიანს,  
სამშობლოსთვის თავდადებულს,  
იდუმალს და დარდიანს  
ნუ შემაქცევ ზურგს, უფალო,  
ნაპირზე ნუ გამრიყავ,  
იქნებ ის გზა მაპოვნინო,  
შენამდე რომ მომიყვანს.

2015.7.01

\*\*\*

ნეტა ჩემს სამშობლოს  
სიმშვიდე ელირსოს,  
დარდით არ კვდებოდეს  
ამდენი ხალხი,  
— უფალო, ალირსე  
ამ ხალხს მოსვენება,  
მიეცი სიმშვიდე  
დარდისგან  
დალლილთ!



ნატგიჩ ფუტბილაბე

\* \* \*

ოდენ დარდისა,  
ერთი მითხარ, რა დამრჩენია,  
ეს მარტოობა სულს მიხუთავს,  
– რა სასჯელია...  
უფალო, რატომ დამაცილე  
ყველა ჩემიანს,  
რად გამიმეტე?!  
– ეს ხომ მკაცრი განაჩენია.

27.02.2012



### ნეინდა ელიას

(ცუძღვნი ინსტიტუტის მეგობრებს  
გულო ფურცელაძის მეთაურობით)

ელია ჩემი მხსნელია,  
მუდამ მას შევთხოვ,  
მიშველოს,  
როცა გაძლება ძნელია.  
შევთხოვ, რომ გამათევიოს  
ღამე ბნელი და გრძელია,  
– წამებად მექცა სიცოცხლე  
მთელი ეს ბოლო წლებია...

მისმინე, ჩემო ელია,  
გთხოვ, ძველებურად მიშველო,  
მხრებში ჩამჭიდო ხელია,  
ფეხებზე წამომაყენე,  
არ გამიხარო მტერია,  
კიდევ მაცალე ცოტახანს,



ნატგიჩ ფერბილაძე

ქუთათურები მელიან,  
რაც დავამთავრე იქ სწავლა,  
ორმოცდაათი წელია,  
მინდა რომ ვნახო ისინი,  
მიშველე, ჩემო ელია,  
არ გამიცრუო იმედი,  
გამხადე ბედნიერია!

2.0V.2016



ინსტიტუტის მეგობრები

საქართველო იყო მათი სალოცავი  
(ავჭალის დედათა მონასტერში)

დედამიწაზე სამოთხე ვნახე,  
რა სილამაზე! — ენით უთქმელი...  
შთაბეჭდილებას საოცარს ქმნიდა  
იქ ულამაზეს ყვავილთ ფურცელი.

ჰოი, დედანო, როგორ შესძელით,  
სამოთხედ ქცევა კლდეზე მონასტრის?!  
შესას გიძლვნიდით უნაზეს ჰანგზე  
ბახი რომ ვიყო, ანდა მოცარტი.

რა ხელმა შექმნა ეს სილამაზე!  
ვუმზერ და გული გამალებით ძგერს.  
ჩემი თაყვანი და მოკრძალება  
ამ ულამაზეს ტაძრის მონაზვნებს,

ვაშა, თქვენს მარჯვენს,  
თქვენს მოულლელ ხელს!

P.S. ტაძრის ბურჯებს  
ლალად ეხლებოდა



მტკვარი,  
ყვავილებზე ნავარდობდა  
ანცი ქარი.  
იოანეს ხელში ეპყრა  
ღვთის ლოცვანი,  
მუხლმოდრეკით ლოცულობდნენ  
შაოსანნი.  
ირგვლივ იდგა იდილია  
საოცარი.  
საქართველო იყო მათი  
სალოცავი.  
2007 წელი — იოანე ნათლისმცემლის დღე

\* \* \*

ისე მაცოცხლე,  
ღმერთო,  
ბევრად რომ სჯობდეს  
სიკვდილს.  
ნუ დამანახებ,  
შეგთხოვ,  
ჩემს თავს უძლურს  
და მიხრნნილს!



## საგალოპელი

ჩემი მუდამ საესავი  
სამშობლოა,  
მისი ცა და მოხატული  
ქედები.  
გმირი ხალხი,  
ნიჭიერი საოცარი,  
ქალ-ვაჟები –  
წვივმაღალი გედები.  
ტაძრებით რომ მოუქარგავთ  
ყოველ გოჯზე  
საქართველოს –  
თვალხატულა ედემი.  
– შევთხოვ უფალს,  
არ მოაკლოს  
მისი მადლი,  
სიყვარული, ზრუნვა  
და იმედები.  
– ლმერთო, ლმერთო,  
მტრის ხელიდან  
დაიცავი,



ნატგიჩ ფუტბილაბე

ფიროსმანის  
მოხატული  
ქედები!  
ღვთისმშობელო,  
შენი კალთით დაიფარე  
საქართველო —  
სამოთხე და ედემი!

2011

უფალო, შემიწყალე!

ვიცოდე მაინც, ღმერთო,  
რად დავისაჯე ასე?!

რისთვის დამტოვე მარტო  
ამ ნარეკლიან გზაზე?!

იმედი არ ჩანს ცაზე,  
სევდიანი ვარ ძალზე,  
ვარ ჩემს საკუთარ სახლში,  
მაგრამ გაკრული ჯვარზე:  
მე ხვედრი მერგო მწარე,  
უფალო, შემიწყალე!

27.08.2012



## აქ სულ ახლოა ღმერთი

რამდენი სინაზე,  
რამდენი წყალობა,  
რამდენი სითბოა  
შენთან...  
ვარდ-ყვავილების  
ფერების სისავსე  
და თბილი ალერსი  
ხეთა.  
სამების ეზოში  
ვზივარ და  
ცას ვუმზერ,  
აქ სული ახლოა  
ღმერთან.  
უფალო, მიეცი  
ქართველ ხალხს სიმშვიდე,  
აღირსე ძლევაი  
მტერთა!

2015.19.09



### უფალო პასუხს ველი

ნუ მიმატოვებ, ღმერთო,  
ამაოდ ხელებგაწვდილს,  
მახსოვს, მწყალობდი თითქო  
მე, შენზე მლოცველ ყმაწვილს.

რა შემეშალა ნეტა,  
რატომ დამტოვე კენტად?!  
დამასაჩუქრე იქნებ  
ნლებით, ყველაზე მეტად...

ვის არ უცოდავს ქვეყნად  
ვის არ შეშლია რამე,  
მუხლზე დაცემულს მერე  
არ უთევია ლამე?!

მკლავს სინანული მწველი,  
უფალო, პასუხს ველი,  
– შეცდომა იყო მხოლოდ  
მთელი ცხოვრება ჩემი?!

ვტირი, დასჯილი დიდად  
თვალზე არ შრება ცრემლი,  
ამაოდ ვიმუშაკე  
ნუთუ ამდენი წელი?!

2006.05



## აბა, რა მიხარია?!

რად დამსაჯე ბედო ასე,  
ასე რად გამიმეტე?!  
გული სევდითა მაქვს სავსე,  
ვერავინ მაიმედებს.  
ალარსად მაქვს წასასვლელი,  
არსად მიმიხარია,  
სევდით სავსე ვზივარ სახლში  
მოწყენილი ძალიან.  
უსაშველო დარდის მიზეზს  
ვანდობ ლამეს მთვარიანს,  
რომ არც ძმა და ალარც დები  
აქეთ ალარ არიან...  
რვა სულიდან ერთი დავრჩი,  
აბა, რა მიხარია?!

2012.02



ნატგიჩ ფუტბილაბე

## ლოცვა

— ღმერთო,  
 აღირსე ჩემს  
 ბედკრულ მამულს  
 შორს გამჭვრეტელი  
 შვილი ჯანმრთელი,  
 სამშობლოს მთებზე  
 შეყვარებული,  
 ილიასავით დიდი  
 ქართველი!

## ლერთო ნიკოს დაეხმარე!

ნიკო გამიხარე, ღმერთო,  
 გევედრები, დაეხმარე!  
 მისი შვილებით აავსე  
 ტყემლიანის არემარე,  
 არ მოაკლო ყურადღება,  
 მიიღე და შეიყვარე!  
 ლვთის წყალობა არ მოშლოდეს  
 ჩვენი საქართველოს ჯარებს!

27.02.2012



## მამა გაბრიელ სალოს

უფლის და ერის რჩეულო,  
ლირსო მამაო გაბრიელ,  
შენი ლოცვა და წყალობა  
გვიცავდეს მრავალუამიერ!

დაიცავ სამშობლო ჩვენი  
ლამაზი ზურმუხტფერებით,  
შევეძრე უფალს, გვიმრავლოს  
ლვთისმორწმუნე ქართველებით.

ილოცე, მამა გაბრიელ,  
რომ ვიყოთ მრავალუამიერ,  
და შენი ლოცვა იცავდეს  
ჩვენს მამულს, იმერ-ამიერს!

05.2014



ნატგიჩ ფუტბილაბე

## თეას ნუცას

დედისერთა, დედის თვალი,  
სანდო, სამედო ქალი,  
საამაყო, სასახელო,  
იმედი და რწმენა ხვალის.

ღვთისმორწმუნე, მადლიანი,  
ნიჭით სავსე, აზრიანი,  
– ასეთია ჩვენი ნუცა,  
არაფერში არ აქვს ნაკლი.

სწავლობს, მუდამ საქმიანობს  
ვერასოდეს ნახავთ დალლილს.

10.02.2017



## გარტოობის სევდა

სული მეყინება,  
მიშველე ელია!  
ეს სისუსტე ჩემთვის  
სიკვდილზე ძნელია...  
შენსკენ ილტვის სული  
მადლიერი შენზე,  
მახსოვს ერთხელ როგორ  
დამაყენე ფეხზე...  
ახლაც მომეხმარე,  
შენგან შველა მინდა,  
იქნებ შემენიოს  
შენი სული წმინდა.  
სულ მარტო ვარ, ხედავ?  
დავიღალე ძლიერ,  
მარტოობის სევდას  
ვერაფრით ვერ ვძლიე.  
მუხლმოდრეკით შეგთხოვ;  
– შენგან შველა მინდა,  
უფლის დიდი მადლი  
დამაფრქვიე ციდან!



ნატგიჩ ფუტბილაბე

მომეხმარე, ეგებ  
მყარად დავდგე ფეხზე,  
დარჩენილი წლები  
სულ ვილოცებ თქვენზე:  
სულინმინდის მადლს და  
ყოვლისშემძლე ღმერთზე.

2.03.2013

\* \* \*

უფალო, შემაძლებინე  
კარგი შვილობა გავწიო,  
მარტოსულმა და უმწეომ  
ეს მძიმე ტვირთი ავწიო!



## ლვთის მორნმუნე მატო პეპო

ლვთის მორნმუნე მატო პეპომ  
უფალს უძლვნა ჩემი თავი,  
სულ ფეხდაფეხ მომატარა  
რაჭის ყველა სალოცავი.  
შემასწავლა ღმერთზე ლოცვა,  
სულ პატარა ვიყავ როცა,  
თავზე ხელი დამაფარა,  
მაკოცა და თან დამლოცა:  
– იწამე და შეიყვარე,  
იყავ ღმერთზე მინდობილი,  
რწმენით და ლვთის სიყვარულით  
სავსე გქონდეს გული თბილი.  
– ასე გავხდი ლვთის მორნმუნე,  
მუდამ ღმერთზე მინდობილი!  
– თუკი ვინმე გახდებოდა  
ავად, ჩამოვქნიდი სანთელს.  
და მე იმის ჯანმრთელობას  
კრძალვით ვთხოვდი უფლის ნათელს.



ბებოს მადლით, ჩემი დილა  
იწყებოდა ღმერთზე ლოცვით,  
ღვთისმორნმუნე გავიზარდე  
აზრით, ფიქრით, სისხლით, ხორცით.

P.S. კიდევ უფრო ვინამე ღვთის,  
მაშინ, როცა გავხდი ოცის.  
სიზმრად ვნახე სასწაული,  
რამაც შემძრა სულით, ხორცით...

არ მინდოდა ის სიზმარი  
ამხდენოდა, მაგრამ ახდა...  
– ცუდად არ უნდა მიმელო,  
ამ შეცდომას ვხვდები ახლა...

მე უფლისკენ მიმავალ გზას  
მაშინ ეშმამ ამაცდინა,  
სიხარულის ნაცვლად იმან  
დამალონა, ამატირა...

თუმც ვეცადე, მაგრამ არა,  
არაფერი გამოვიდა.  
ამ მიწიერ სამოთხეში  
ჩემი მზე არ ამოვიდა...



სულ ამაოდ დავეძალე  
ამქვეყნიურ ლხენა-ხალისს,  
მხოლოდ დღეისდღით ვცხოვრობდი,  
არა მქონდა ფიქრი ხვალის.

ასე ავცდი ჭეშმარიტ გზას,  
ამ შეცდომას ახლა ვხვდები,  
ვნანობ, მაგრამ სინანული  
ახლა ვერაფერსა მშველის.

2010.10.05

### ძრისტე აღდგა!

გიხაროვეთ,  
შეგვენიოთ უფლის  
მაფლი!  
ქრისტე აღდგა –  
საქართველოვ,  
ალორძინდი, გამიხარფი!  
გაიხარეთ ქართველებო,  
ნაოსულის გაპევეს  
ძველი ფარფი.



ნატგიჩ ფერმილაბე



გულს ნალველი გადიყარეთ,  
დაგეფინოთ პირზე ვარდი!  
სავალ გზებზე სიყვარული  
მიგვცემოდეს გზად და ხიდად,  
ქრისტე ალფა,  
გიხაროდეთ!  
ქრისტე ალფა,  
ჰესქარიტად!..

2016 წლის  
აღდგომის დღესასწაული



### სამება ერის პურვია

ღმერთს ვთხოვ  
ძალა მომცეს ხშირად  
ვიარო სამოთხის ბალში,  
თავს სამება დამყურებდეს,  
მადლის შუქი მედგეს თვალში.  
ჯანმრთელი და ბედნიერი  
ვიდგე ღვთისმორწმუნე ხალხში.  
ასეთ ნათელ დღეებს კვლავ ბევრს  
რომ მოვესწრო, როგორ მინდა,  
ნინ სავალ გზებს მინათებდეს  
მამა, ძე და სულინმინდა...  
ღმერთო, რამდენ სილამაზეს  
ვუმზერ, ვტკპები, ვერ ველევი.  
მინდა ხშირად მოვიდე აქ,  
უძლური თავს ვერ ვერევი.





ნატგიჩ ფუტბილაბე

ვუმზერ ტაძარს, გული ტკბება,  
თან სიამაყით ვივსები,  
ვით შესძლო ქართველმა ხალხმა  
ეს დიდი საქმე იმ წლებში,  
როცა ძალიან გვიჭირდა,  
პური არ გვქონდა არსობის?!  
– სამება ერის ბურჯია  
სიმბოლო ნათელ კაცობის.

2015.28.08

### ჩემო იესო

განსაცდელის უამს  
სულ შენ გიხმობ,  
შენ გევედრები,  
მიიღე ჩემი  
სინანული  
ნაგვიანები,  
გამიადვილე  
ეს ცხოვრება  
ძალიან ძნელი,  
დამილოცე გზა,  
რაიც დამრჩა ან,  
გასავლელი!



## შევინდე, უფალო

ღმერთო მაპატიე,  
რაიც შემეშალა,  
რაიც ვერ ვაკეთე  
გზნებით.  
რაზეც უნებურად  
ხელი მომეცარა,  
ანდა ვერ ვიკადრე  
ნებით.:  
შემინდე, უფალო  
ბედკრულს და  
მარტოსულს,  
გული დაუპყრია  
სევდას,  
ვერაფრით ვიმშვიდებ  
მებრძოლ და  
ამაყ სულს,  
სულ ვცდილობ  
გავექცე ბედს ავს...  
უშველე, უფალო,  
სულ ყველას  
უშველე,



ნატგიჩ ფუტბილაბე

ვინც მუდამ სიკეთეს  
თესავს,  
ვისაც სულს უშფოთებს  
სამშობლოს ბედი და  
სულ მის მომავალზე  
ესავს.

2016

## ლოცვა

შენი გადლი ეცეოდეს  
ღმერთო,  
ყველა გაშირვებულს,  
არ მოგვაკლოს ცყალობა და  
სიყვარული ჭანეულს,  
გვემულს...  
დაცხარე ყველას, ყველას,  
ვისაც შენი სწამს და  
სჭერა,  
აუყვავე ღვარე და  
გაუხარე კერა!



## მე პოლიტიკური შენიშვნას და...

მუდამ უფალს შევთხოვ, მინდა  
მისი მადლი გადმოვიდეს ციდან,  
მომეხმაროს მარტოობით დაღლილს,  
შემეწიოს იმედისგან დაცლილს.

– რაც შეგცოდე, მომიტევე, ლმერთო,  
სამარეში ნუ ჩამატან ცოდვებს,  
განმინმინდე სული შერისხული,  
თორემ ახლო არის დასასრული...

და,

თუ მართლა ახლო არის ბოლო,  
მომისმინე, ერთ რამეს გთხოვ მხოლოდ,  
გულით მართალს მოუმართე ხელი,  
შეეწიე, დაუმარცხე მტერი!  
ამასა გთხოვ მწარე სინანულით,  
განმინმინდე ეს ცოდვილი სული!

მე ხშირად ვგრძნობ  
შენს წყალობას, ლმერთო, იცი?

– გმადლობთ!

შენ მჰატიობ, მე რომ მუდამ  
ვწუნუნებ და ვლაყბობ...



ნატგიჩ ფუტბილაბე

ეს რომ არა, ცხოვრება რა  
იქნებოდა ჩემი?!  
მე ბოლომდე შენი მწამს და  
მადლობელი ვრჩები.

16.06.2015

\*\*\*

ღმერთო,  
მომასწარ ზაფხულსა,  
ცივ ზამთრის  
სწრაფ დასასრულსა,  
იასამნების,  
ვარდების, სურნელს  
ცათამდე ასულსა.  
ისე მამყოფე,  
ღმერთო, რომ  
არ მივტიროდე  
ნარსულსა.

21.12.2016



## სალოცავთა პატარძალო

მრავალძალში ამოვედი,  
აქ ვევედრო უფალს მინდა,  
ჩემი დარდი გაგიმხილოთ  
მამავ, ძევ და სულიწმინდავ.  
სამშობლოს ბედი მადარდებს,  
ქართლის მინა – ერთი ციდა...  
გევედრები, მოგვეხმარე,  
დაგვაფრქვიე მადლი ციდან!..  
მტრები ხელიდან გვაცლიან



ღვთისმშობელის მიწას მდიდარს.  
 თქვენი მადლი შეგვანიეთ,  
 უფლის ძალნო – ყველანმინდავ!  
 მრავალძალო, მრავალძალო,  
 სალოცავთა პატარძალო,  
 დაგვეხმარე, გევედრები,  
 იმედისგან არ დამცალო!

P.S. ღმერთმა არ მომცა თუმცალა  
 მე საკუთარი შვილები,  
 უფლის მადლს ვფიცავ,  
 მათსავით მიყვარს ძმისშვილ-  
     დისშვილები.  
 ძალას მმატებენ, არიან  
 ჩემი რწმენა და იმედი.  
 მე ყველა მათგანს გავედრებ,  
 შვილებით, შვილიშვილებით!  
 სხვა ახლობლებიც მიცოცხლე  
     – მეგობრები და სწორები,  
 გვერდითმდგომს ნუ გამომილევ,  
 მუხლმოყრით გეამბორები!  
     – დარდსა და სევდას გამყარე,  
 მაშორე სოფლის ჭორები.



გთხოვ, ჩემი რაჭა აავსო  
დოვლათით, ხვავით, ბარაქით,  
რომ ამჯობინოს იქ ყოფნა  
ხალხმა, ცხოვრებას ქალაქში!  
– მეტი რა გითხრა, თქვენც იცით  
დღეს ცხოვრება რა ძნელია,  
ათასი დარდი გვაწუხებს  
აუ, რამდენი წელია...  
განსაცდელისგან გვიხსენით,  
შეერთდით, ძალნო მაღალნო!  
– განმინდეთ ცოდვა-ბრალისგან  
ეს ფერშეცვლილი სამყარო.

28.08.2014

ღირსო მამა გაბრიელ  
აღმსარებელო – სალოსო

შენი ნშინდა ხაჭი ფაზრძანდა  
მრავალძალის ჭაძარსა შინა. შემწევ  
ფა მფარველად ექმენ გამრკე, მშ-  
რომელ, ალალ-მართალ რაჭველებს!  
აავსე ხალხისაგან დაწლილი ჩვენი სო-  
ფლები ლოთისმორნმუნე, ქრისტიანი  
ქართველებით. ახალგაზრდების ხმებით

ლიტო

ნატგიჩ ფერმილაძე

გააკორხულე ფლეს მზუმარებამოქული  
ეს ულამაზეცი კუთხე! – ყველა ეზოში,  
ყველა სახლში დაანთე სიყვარულის ჩუ-  
რხლი, დაუღალავი და გამოჰე მარჯვენა  
დააჭრიალე, რომ ძველებურავ, ნლის  
ყოველ დონს, სავსე იყოს რაჭის სოფ-  
ლები მშვენიერი, ოვალტანაფავ გამორ-  
ჩეული კეთილი, ალალი, მკვირხლი  
გოგო-ბიჭებით.

დალორე რაჭა და რაჭველები, მამა  
გარჩიელ!

28.08.2014





## უნდა მიხვდე თავად

ბევრი წყვილად დადის,  
ბევრიც – მარტო, ცალად...  
რაიც უფალს არ სურს,  
არ იქნება ძალად...  
თუ როგორ იცხოვრო,  
უნდა მიხვდე თავად,  
უფლის ნებას ენდო,  
ფეხზე დადგე მყარად;  
ნურავინ გიყვარან  
ქვეყნად უფლის  
დარად!

3.03.2015



## ზაფხული ზნაკვაში

სოფელი ჩამოვიარე,  
ჭირმა თავი ვერ დამალა,  
ნანახით ვერა ვიამე,  
ცრემლმა თვალები დანამა;

შემზარა სოფლის სურათმა,  
თითქო სიცოცხლე ჩამქრალა,  
ბავშვების ხმა აღარ ისმის,  
წყაროზე წყალი დამშრალა.

ძალლი არსად ყეფს, არ ისმის  
არცა ყივილი მამლისა,  
სურათმა გული მომიკლა  
დარდმა ფიქრები დანისლა.

თვალწინ დამიდგა წარსული,  
სულ ახლა იყო მგონია...  
და გამახსენდა ზნაკველი  
ჩემი ბებია კონია. –  
სოფლის მადლი და მშვენება,  
არავინ ჰყავდა ბადალი,



მისი წყალობით ოჯახი  
ყვაოდა ხვავით, ბარაქით.  
„ხატულა“ გვამარაგებდა  
ყველით, რძითა და კარაქით.

სოფელი იავარდობდა,  
იყო ლხინი და ხალისი,  
შრომისთვის ძალას გვმატებდა  
რწმენა, იმედი ხვალისი.

ვერა ნახავდით სოფელში  
სახლს მიტოვებულს, დაკეტილს,  
ადრე ვდგებოდით ბავშვეი,  
ვიმეორებდით გაკვეთილს...

სადღაა ძველი დიდება,  
კერაზე ცეცხლი ჩამქრალა,  
ის ოქრო გოგო-ბიჭებიც  
სადღაც წასულან, გამქრალან.

სადა ხართ, ჩემო კარგებო,  
მომნატრებისართ ძალიან,  
უთქვენოდ სოფლის ცხოვრება  
უხალისო და მკვდარია.



ნატგიჩ ფერბილაძე

დაბრუნდით ძველ ნაფუძვარზე,  
ახარეთ ია-ვარდები!  
თორემ დამლალა ფიქრებმა,  
ბოლოს მომიღებს დარდები.

2016.20.09

### ლეირთო, როდის?

დღე კეთილი გაგვითენე.  
მამავ, ძევ და სულინმინდავ,  
დარი არ დგას სამშობლოში,  
სიხარული გამიძვირდა.  
დასასრული ალარა აქვს  
ამ უაზრო ცდას და ლოდინს,  
დრო კი მიდის,  
ჩვენც მივდივართ,  
კარგს ვნატრობთ და  
ცუდი მოდის,  
ამ მოკლე წუთისოფელში  
გაიხაროს კაცმა როდის?!



## მარტოობა

საშინელი სასჯელია,  
სულ ქარს ვატან  
ჩემს ნაშრომს და ნალვანს...  
მაგრამ მაინც ყოჩალად  
ვარ, არ ვტირივარ,  
სიყვარულით სავსე  
გული დამაქვს...  
სიცოცხლეში თუმცა  
ბევრჯერ გამიავდოდა,  
უფალს მაინც  
არ ვუკარგავ ამაგს,  
ჩემს დარჩენილ  
სიცოცხლის წლებს  
სულ მას ვუძღვნი,  
სიყვარულში დავიხარჯო  
მინდა,  
დარჩენილ წლებს  
სულ ლოცვაში  
გავატარებ,  
შემეწევა თუკი  
სულიწმინდა...

10.05.2016



ნატგიჩ ფუტბილაბე

## მაპატიე

დავილალე, დავილალე,  
დავილალე, იცი? –  
ძლიერ,  
ამ უაზრო დარდს და  
სევდას  
რა ვქნა,  
ვერაფრითა ვძლიე,  
ცრემლები ვერ  
შევიმშრალე,  
სევდას ზურგი  
ვერ ვაქციედ –  
მომეხმარე,  
ღვთისმშობელო,  
ეს სისუსტე  
მაპატიე!  
მაპატიე, რაც ვერ  
შევძელ,  
ვერა ვზიდე მძიმე  
ჯვარი,  
ვერ შევძელი  
ღვთის წინაე  
ვიყო პირნათელი  
ქალი.

2016.28.08



## პაატა კურტანიძეს

ყოველ დღემზიანს  
მე ვილოცებ შენთვის ისე რომ,  
მტერი ვერასდროს გაყენებდეს  
ვერაფრით ზიანს,  
შენი სიკეთით, ჩემს ლოცვებში  
დაიდებ ბინას,  
შენი სახელი დაამშვენებს  
ჩემს პოეზიას.

9.06.2016



ვედრების ხატი



ნატგიჩ ფერბილაძე

30ნც მადლს თესავს  
ვუძლვნი ბოკას

ვინც ყოველდღე უფალს ესავს,  
უქმად არ კარგავს არც ერთ წამს  
დაჩაგრულთა დამცველია  
და სიმართლის მახვილს ლესავს,  
კეთილ საქმეს ვინც აკეთებს,  
სიყვარულით ღვთის მადლს თესავს,  
მხოლოდ მას და მათნაირებს  
ეკუთვნის ეს მიწაც, ეს ცაც.  
ასეთები გაგვიმრავლდეს!  
– ისინი მეც მიყვარს, ლმერთსაც.

10.05.2015

გმაღლობით ღმურთთ  
გმაღლობით ღმურთთ

გმაღლობით  
ღმერთთ  
იმისათვის,  
რომ არსებობ,  
ჩემი რწმენის  
გზას რომ ასე  
მინათებ,  
იქნებ ამან.  
მომიყვანოს  
მე შენამდე,  
გზა გაეხსნას  
ჩემი სულის  
სინათლეს...  
არასოდეს არ  
ვყოფილვარ  
თუმც მდიდარი,  
სიმღერა და  
ლხენა მაინც  
მიყვარდა,  
რაცა მქონდა,  
იმ მცირესა  
ვჯერდებოდი,  
ვლოცულობდი  
მასზე, ირგვლივ  
ვინც მყავდა.

ლოტო, ნატგიჩ ფუტბილაბე

მიხაროდა

ყოველი დღის

გათენება,

გულში შურს და

ბოლმას არ

ვატარებდი,

მიხაროდა, თუკი

რამით სხვას

ვარგებდი,

შვებას ვგრძნობდი,

სხვას თუ

გავახარებდი;

გმადლობთ

ლმერთო,

იმისათვის,

რომ არსებობ,

ჩემი რწმენის

გზას რომ ასე

მინათებ,

იქნებ ამან

მომიყვანოს

მე შენამდე,

გზა გაეხსნას

ჩემი სულის

სინათლეს.

2015 წ. შობის დღე

❖ 101 ❖



„ალავლინა ლოცვა  
ელიამ...  
— ცამ მისცა წვიმა,  
მინამ — ნაყოფი...  
სიკვდილისაგან  
იხსნა მწყურვალნი  
ელიას ლოცვამ“

ილოვეთ გულით, რწმენით, მთელი  
არსებით! რწმენით ლოვა იხსნის  
განსაკრძელისაგან ადამიანს, ფეხზე  
დააყენებს დაწემულს და, თუ რამ  
სროვერი ჩაყდენია, მიუჭევებს.

ვილოვოთ, ვილოვოთ! შევრი რამ  
ძალას გულნოფელსა და ძლიერ  
ლოვას, ამაში თავად დავრწმუნდი,  
როვა გულმხურვალე ლოვის შემ-  
ფევ ელიას წმინდა ჭადარში მხრებში  
ხელი ჩამავლო და ფეხზე დამაყენა,  
ჩემი ლრმა რწმენით, თავად ელიამ.

გმაფლობთ, ელია!



ნატგიჩ ფუტბილაბე

## როცა მე თავალ...

როცა ჩემი მშეფოთვარე სული  
ხორცს გაეყრება,  
გავთავდები,  
აღარ ვიქნები,  
როგორ ვიქნები,  
იქ უფალთან  
როგორ წარვდგები,  
ხშირად ამაზე სევდიანი  
მიპყრობს  
ფიქრები...  
– მინდა მონაზვნის  
კაბით მომრთონ  
– შავით და გრძელით,  
თავსაბურავით  
შემიმოსონ  
სახე და თმები.  
უფლის წინაშე  
მინდა წარვდგე  
ისე, ვით მსურდა  
და ვოცნებობდი  
გულში მთელი  
ეს ბოლო  
წლები.

14.02.2014

❖ 103 ❖



## გმადლობი, უფალო!

რომ კვლავ შემწევს  
იმისი ძალა,  
ასე ძლიერად რომ  
მიყვარდეს ჩემი  
ქვეყანა;  
მიყვარდეს დილის  
გათენება,  
მამლის ყივილი...  
რა შუაშია ბუზლუნი  
და ბედზე ჩივილი?!  
რა შუაშია,  
ცის გახსნას თუ  
ვერ მოვესწარი,  
იქნება, ღმერთო,  
ყოფნის არსიც  
სწორედ ეს არის?!  
ძიებაშია იქნებ  
მხოლოდ ბედნიერება!!!  
ო, გმადლობთ  
ღმერთო,  
ყველაფრისოვის  
გმადლობთ ძალიან!

3.03.2015



ნატგიჩ ფუტბილაბე

მაგა და პატრონი საქართველოსი  
„ზეცის კაცი და ქვეყნის ანგელოზი“  
(ილია მეორეს)

ჩემი ლოცვა უსათუოდ შეგეწევათ,  
დაგიამებთ დარღით დაღლილ სულს,  
გულს გაგითბობთ ლვთისმშობელი მარიამი,  
მოგანიჭებს ნეტარებას სრულს.  
თქვენი ლოცვა არ მოშლოდეს საქართველოს,  
უსასრულოდ გაგიგრძელდეთ წლები,  
სამშობლოსთვის დანთებულო კელაპტარო,  
სულ გამკობდეთ ეგ ღიმილი წრფელი  
„ზეცის კაცო, საქართველოს ანგელოზო“,  
სანთლად გენოოთ სიყვანული ჩემი!

2015.4.01





## გიორგობის თვეში

სამებაში – ანგელოზთა  
სავანეში,  
წმინდანების  
სრულქმნილ სამოთხეში,  
გიორგობის დიდი  
დღესასწაულია,  
მეც მის ხატთან  
ვდგევარ სანთლით  
ხელში.  
მუხლმოდრეკით  
შევთხოვ წმინდანს,  
სთხოვოს უფალს,  
არ მოგვაკლოს  
ქართველთ მისი  
მადლი,  
შურისა და მტრობისაგან  
დაიფაროს ქართლის  
მიწა – ჩვენი საესავი –  
ჩვენი ხალხი —  
დალლილი და დაქანცული,  
ძილგამკრთალი  
სამშობლოზე დარდით!



ყველა ხატთან მოვილოცე  
საქართველო,  
სიყვარულით, იმედით  
და რწმენით.  
შევევედრე, მუხლი  
დაბლა მოვუდრიკე,  
ყველა წმინდანს  
ამას ვევედრები: –  
ოღონდ მამულს  
ულხინდეს და  
მფლად დაედოს  
ბედკრულ მამულს  
მთლად სიცოცხლე ჩემი!  
სამებაში –  
ანგელოზთა სავანეში,  
წმინდანების სრულქმნილ  
სამოთხეში,  
სისხამ დილით  
საქართველო  
მოვილოცე  
სანთლით ხელში,  
გიორგობის  
თვეში::

23.11.2012



თავზე მეტად მიყვარს ღმერთი

(შეგონება ბავშვებს)

სიყვარულით გავჩნდი ქვეყნად,  
სიყვარულის ნაყოფი ვარ,  
ქვეყნად უკეთესი სხვა რამ  
არც არის და არც ყოფილა.

ღვთისგან შექმნილი სამყარო –  
ეს მთები და ეს ველები,  
ისე დიდი გრძნობით მიყვარს,  
რომ ვერაფრით შეველევი.  
ეს მზე, ეს ცა, ვარსკვლავები  
ჩემია და არ მეოთმობა,  
მე სიცოცხლე ისე მიყვარს,  
ერთხელ მოსვლა რას მეყოფა?!

ცის და მიწის შემოქმედი,  
სამყაროს ხსნა ერთადერთი,  
ყველაფერზე უფრო მეტად,  
თავზე მეტად მიყვარს ღმერთი.  
გირჩევთ, ყველამ შეიყვაროთ –



მამა, ძე და სულინმინდა,  
ქრისტეს მცნებები ვისწავლოთ,  
რომ ვიცხოვროთ ლალად, მშვიდად.  
– არ ვიცრუოთ, არ ვიპაროთ,  
ირგვლივ ყველა შევიყვაროთ,  
ცუდი არასდროს ვაკეთოთ,  
ვილოცოთ და გავიხაროთ!  
– ამას გვირჩევს მამა ღმერთი  
და მისი ძე ერთადერთი.

2013.01.06


(ნაწყვეტი სამებაში, ბავშვთა დღისადმი  
მიძღვნილი ინსცენირებისა „თავზე მეტად  
მიყვარს ღმერთი“)



მიყვარხარ, ჩემო უნეტარესო!

თქვენ ღირსეულად ზიდეთ ულელი  
ჩვენი სამშობლოს საჭეომპყრობელის  
და შეგიყვარათ ქართველმა ერმა,  
როგორც მამა და როგორც მშობელი.  
ლოცვაში განვლეთ ცხოვრება მთელი,  
ხართ საქართველოს ჭირისუფალი,  
ნატრობთ, რომ მალე იხილოთ ერი  
ბედნიერი და თავისუფალი...  
ამ შეშლილ დრო-ჟამს დღეს თქვენია  
გვშველით,  
გვითბობთ დარდისგან გათანგულ სულებს,  
მხურვალე ლოცვით, ჯვრით ხელში ებრძვით  
ამ წუთისოფლის შავ და ბნელ მდგმურებს.  
რამდენი შესძელ, რა არ აკეთეთ,  
იცხოვრეთ უწმინდესის ღირსებით,  
თქვენმა კეთილმა ლვაწლმა ამრავლა  
სამშობლო ჩვენი გოგო-ბიჭებით...  
მინდა სიცოცხლე გაგიხანგრძლივოთ,  
მოგეფეროთ და მოგეალერსოთ,  
იესოსავით მიყვარხართ, ჩემო  
უწმინდესო და უნეტარესო!

2.2016



### ვსალეუნი - იცსო ჩვეო

შემწევ და მფარველო, მართალთა ქომა-  
გო, უიმედოთა იმედო და ნუგეშმუშმელო; ო,  
ძეო ლვოსა, იესო ჩემი. შენსკენ მოილტვის  
გული ჩემი, შენ გიხმორ მუზამ. ფესვგაფგმუ-  
ლი ხარ ჩემს არსერაში.

შენ მოგიხმორდი მთელ გულით ჰერ სულ-  
მოლად ზავშვი... შენ გიხმორ მაშინ, როგა  
სევდა მიჭერს მარნუხერს, შემინდე ლმერთო,  
მაპაჭიე, თუ შეგანუხე!

10.05.2011



ჩემს მოძღვარს – მაგა ანდრიას  
(ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
კიკეთის ტაძრის წინამძღოლს)

მე რომ ამქვეყნად ბედი მქონოდა,  
სწორედ თქვენნაირ შვილს ვინატრებდი,  
ერის და ქვეყნის მოჭირნახულეს,  
კეთილშობილს და მორწმუნეს ღმერთის.  
სამშობლოსავით შეგიყვარებდი  
და ვილოცებდი დღე და ღამ შენთვის.  
მთელი ცხოვრება ღმერთზე ვლოცულობ,  
ვერ მოვასვენე სული დასჯილი,  
ბედნიერება ჰპოვო ამქვეყნად,  
არა ყოფილა თურმე ადვილი...

მე კრძალვით მინდა გთხოვოთ  
ღვთისმსახურს,  
გაგანდოთ ჩემი გულისწადილი:  
– როცა მოვკვდები, გამომადექით  
ვითარცა ჩემი შვილი ნამდვილი,  
ილოცე ჩემთვის, შესთხოვე უფალს,  
რომ განმიწმინდოს სული დალლილი.



ნატგიჩ ფუტბილაბე

შემინდოს ცოდვილს, რაც შემეშალა  
არ მიმატოვოს იმედგაცლილი,  
საცა მართალნი განისვენებენ,  
იქ დამიმკვიდროს ბედკრულს ადგილი.  
ნუ დამსჯის მისთვის, რაიც ვერ შევძელ,  
აქ საკმარისად ვიყავ დასჯილი,  
შემვედრე უფალს, უფალს რჩეულო,  
ილოცე ჩემთვის, ვითარცა შვილი!

2015 ანდრია  
პირველწოდებულის დღე



### იქნებ კიდევ ვიშეიხო

სულ დობილი ვიყავი,  
დედოფალი – არასდროს,  
გულით რასაც ვნატრობდი,  
რომ მქონოდეს – არ მახსოვს.  
მაინც ბევრი ვილხინე,  
დრო ლამაზად ვატარე,  
უიმედო დარდები  
ჩემს გულს არ გავაკარე.  
მაგრამ ახლა სიბერემ  
შემაშინა ძალიან,  
უიმედო ფიქრებმა  
დამალონა, ამრია...

ყოველდღე ვგრძნობ, საბრალოს  
ძალა როგორ მეცლება,  
თვალში ბინდი ჩამოწვა,  
გულიც ჩეარა მელლება,  
ვიმკურნალო ექიმთან,  
არ მაქვს ამის შეძლება...

მიღის წუთისოფელი,  
ვჩეარობ,



ნატგიჩ ფერბილაძე

დრო კი არ მყოფნის,  
მინდა მზეზე გავფინო  
ჩემი შრომის ნაყოფი,  
ჩემი შემოქმედება,  
ჩემი შნო და თილისმა  
მინდა ნახოს, გაიცნოს  
მალე მთელმა თბილისმა.

ღმერთო, მომეც შეძლება,  
სურვილი ავიხდინო,  
რომ მესამე კრებულიც,  
ჩემი მალე ვიხილო!  
– იქნებ კვლავ გავიხარო,  
იქნებ კიდევ ვილხინო.

10.12.2015



გმაღლობეთ ღმურთთ  
სადღეგრძელო

(ვუძღვნი კეთილშობილ  
ძმებს შოთა და კახა ცინცაძეებს)

ამ სასმისით  
ვადღეგრძელებ,  
ვინც ყოველდღე  
უფალს ესავს.  
დღენიადაგ შრომობს,  
იღვნის,  
უქმად არ კარგავს არც  
ერთ წამს,  
სამშობლოს სამსახურშია  
და სიმართლის  
მახვილს ლესავს;  
– კეთილ საქმეს ვინც  
აკეთებს,  
ლოცულობს და  
ღვთის მადლს თესავს,  
მხოლოდ მათ და  
მათნაირებს  
ეკუთვნის ეს მიწა,  
ეს ცაც...  
– ასეთები გაგვიმრავლდეს!  
– ისინი მეც მიყვარს,  
ლმერთსაც!

2016.25.12



ნატგიჩ ფუტბილაძე

## მხოლოდღა ერთი სურვილი დამრჩა

ბოლომდე შევსვი სევდის ფიალა,  
ბევრი სიავე ვნახე,  
ბედმა ბოლომდე გამატიალა,  
ფეხქვეშ დამიგო მახე,  
არ შემიბრალა ოხერ-ტიალმა,  
მთლად წამიშალა სახე...  
ალარ მაღელვებს არც გაზაფხული,  
არც შემოდგომა მშვიდი.  
გაფრინდა წლები  
– სიცოცხლით სავსე,  
გაქრა ოცნება დიდი,  
გადავილალე, ახლა სიცოცხლე  
სევდა-ვარამში მიდის...  
მხოლოდღა ერთი  
სურვილი დამრჩა,  
სიკეთე უხვად გავცე,  
უფალს მივუძლვნა ყოველი წამი,  
ხატის წინ სანთლად დავდნე,  
– შემინდე ღმერთო, რაც შემეშალა,  
წუთისოფლის გრძელ გზაზე,  
გაჩენის დღეებს ნუ შემანანებ,  
გთხოვ, ნუ გამაკრავ ჯვარზე!

8.08.2012



## ღმერთო, გვიშველე

„ცა ძვირფასია,  
თვალი თუ მოვკარ.  
სიცოცხლე მინდა,  
ღმერთო, ნუ მომკლავ.“

ტერენტი

ღმერთო გვიშველე,  
დარდით ვარ სავსე,  
სამშობლოზე ვწუხ –  
გვექცევა თავზე:  
გაგვითამამდა მტერი მოძულე,  
– ჩაეც მახვილი,  
წელში მოღუნე!  
ნუ გაალალებ!  
მხსნელს ვხედავ შენში,  
ჩვენს მინას მტრებს ნუ  
ჩაუგდებ ხელში,  
გამოგვიბრნყინე  
ვარსკვლავი ცაზე,  
ნუ დაიშურებ,  
სიკეთე გასცე!  
შენზე ვლოცულობ, მეიმედები,  
დაიცავ ჩვენი მინა ედემი!



### ... მაინც მჯერა

როცა ლექსის წერას ვიწყებ,  
ღმერთს ვახსენებ,  
პირვევარს ვიწერ.  
ვეჭიდები მე ჩემს მიზანს,  
აზრებს ვიცვლი წარამარა...  
მივენდობი იმედს ღვთისას,  
ჩემს გულისთქმას არა ვმალავ  
და მე ისე ვიწყებ წერას,  
როგორც მწამს და  
როგორც მჯერა...  
მე ჩემს მიზანს მაინც ვაღწევ,  
ზოგჯერ კი და  
ზოგჯერ – ვერა.  
ვიცი, ბოლოს ის იქნება,  
როგორიც მაქვს ბედისწერა,  
ღმერთი სულ რომ არ გამწირავს,  
მე ამისი მაინც მჯერა.

17.09.2016



## მჟღარა დამაცლი

ასე როდემდე გავძლებ  
არ ვიცი,  
ყელში მიჭერენ ხელებს მგონია,  
არადა, საქმე მეძახის,  
მიხმობს,  
შევძლებ კი ამას?  
— არა მგონია.  
— ღმერთო მაცალე!  
— ეს მერამდენედ  
ყელგამოლებით  
გემუღარები,  
— ვალი არ მინდა  
თან წავიტანო,  
არ მომიხურო ჯერ,  
გთხოვ, კარები!  
ბევრი რამ კარგიც  
არის ყოფნაში,  
ნაღველიც ბევრი არის,  
შარბათიც...  
მინდა კვლავ ვიგრძნო  
სიცოცხლის ეში,



იესო ჩემო

– მჯერა დამაცლი.

მინდა სამშობლო,

დამშვიდებული დავტოვო,

ხალხი, იმედით სავსე,

ვნატრობ, ვიხილო

როგორა ბრწყინავს

ბედის ვარსკვლავი

ივერთა ცაზე.

– და თუ ეს მართლა მინდა,

რა არის

გასაკვირველი რამე ამაში?!

– ჯანმრთელობა და

სიცოცხლე მინდა,

იესო ჩემო,

მჯერა დამაცლი.

10.05.2012



## გიორგობაა

წმინდა გიორგი,  
შენ დაიფარე  
ქართლის მიწა და  
შთამომავლობა  
ქართლოსიანთა!  
შენი მახვილით  
იცავდე მარად,  
ჩვენს ბარს და მთათა!!!  
– ხვავი, ბარაქა  
და სიყვარული  
სოფლად, ქალაქად...  
დაე, სულ ვიყოთ  
ბრძენი და ქველი,  
მადლის გამცემი!  
გამორჩეული პატივით  
ჟღერდეს სიტყვა  
ქართველი.  
გაგვიმრავლე  
და გაგვიხარე  
ერი ჯანმრთელი.

23.11.2011



## სანამ გული ცხელია

მხოლოდ შენზე ლოცვით და  
მხოლოდ შენი იმედით  
მინდა რომ გავაკეთო  
ის, რასაც ვაპირებდი.  
ჯანი მომეც, უფალო,  
არ დამიხშო გონება,  
მხოლოდ პოეზიაა  
მთელი ჩემი ქონება...  
კიდევ მინდა ცოტა ხანს,  
სანამ გული ცხელია,  
სულ ბოლომდე დავწერო  
ის, რაც დასაწერია.  
გამიმართლე იმედი,  
მომიმართე ხელია,  
ისე მინდა ვწერო რომ  
დამიღონდეს მტერია.

2015



## უფრო მეტი

გმადლობელი,  
ღმერთო,  
დიდებულო,  
ყველაფრისთვის  
გმადლობელი დიდად.  
სასომიხდილს  
იმედს მაძლევ  
და სიყვარულს  
გზად და ხიდად.  
მინდა წლები გამიგრძელო,  
ჯანი მინდა უფრო მეტი,  
ასეთია კაცის გული –  
რაც გაქვს, გინდა უფრო მეტი...  
უფრო მეტი სიხარული,  
უფრო მეტი ქართლის ბედი.  
უძლებ შვილად ნუ მიმიღებ,  
არ ვარ უგუნური და  
ყბედი.



ნატგიჩ ფერბილაძე

ოღონდ მამულს ულხინდეს და,  
მთელ სიცოცხლეს გავიღებდი...  
მინდა ჰქონდეს ჩემს სამშობლოს,  
საბრალო ხალხს უფრო მეტი  
დაწყნარებული ცხოვრება,  
უფლის მადლი უფრო მეტი.

18.09.2016

### შეცთან მოსასვლელი გზები გამიხსენი

ლმერთო, ცუდი ფიქრებისგან დამიხსენი,  
ამარიდე სისუსტე და ავი სენი,  
მაპატიე რაც შეგცოდე საქმით, ენით,  
შენთან მოსასვლელი გზები გამიხსენი!  
ჩემს სამშობლოს აარიდე ავი თვალი,  
მის წინსვლას და გაბრწყინებას მომასწარი,  
გევედრები — გამიგონე, რაც გითხარი,  
დამეხმარე, გამიცოცხლე გული მკვდარი!

10.05.2016



## სამადლოპელი

ამ სავსე თასით  
მინდა შევსვა სამადლობელი,  
რომ გამაჩინე, ღმერთო,  
მაინც ვარ მადლობელი,  
თუმცა არასდროს  
ფუფუნებით არ მიცხოვრია,  
არცა ხელგაწვდილს  
მოწყალება არ მითხოვია,  
მაინც ვილხენდი,  
უბედობა არ მიგლოვია,  
სულ სიყვარულში დამიხარჯავა,  
რაც მიშრომია.  
მადლობა, ღმერთო,  
გულით გმადლობ,  
რომ გამაჩინე,  
მოწინებით გთხოვ  
ძნელ სიბერეს გადამარჩინე  
ნაპირს მიადგა ჩემი გემი,  
ახლოს ფონია,  
დასასრულამდე მგონი  
აღარც ისე შორია...



ნატგიჩ ფუტბილაბე

დედაო ღვთისა,  
შენი კალთა გადამაფარე,  
სამშობლოს ბედით  
გამალიმე და გამახარე!  
– ო, ძეო ღვთისა,  
შენგან მუდამ  
შველას მოველი.  
სინანული მკლავს,  
დამიამე სული ცხოველი!  
მიიღე ჩემგან ეს პატარა  
სამადლობელი:  
– ყველა მიცოცხლე  
მეგობარი და ახლობელი!

10.05.2011



## ცოდნის გზა გაუხსენ ამ პიშვებს!

ვწევარ და არ მძინავს რატომლაც,  
ფიქრებმა დამიფრთხო ძილი...  
ყველანი, ვინც კი დამრჩა ამ ქვეყნად,  
მიყვარს ვით საკუთარი შვილი.  
— სუყველა მიცოცხლე, უფალო.  
ვისზედაც ვლოცულობ დილით!  
მუხლმოყრით შეგწირავ მადლობას  
და დავცლი ყანწს, სავსე ღვინით.  
გავედრებ ჩემს ოქრო ბიჭუნებს,  
ოთხივეს — წვენსავსე მტევანს, —  
ნიკუშას, რეზიკოს, მიშიკოს  
და ჩემი ოენგიზის ლევანს,  
მისმინე, გთხოვ წმინდა მარიამ,  
ცოდნის გზა გაუხსენ ამ ბიჭებს,  
საჯიშე ნერგები არიან.  
ღვინის მადლი მათ პირველ ნაბიჯებს!

07.2016



## და ნამყვება იქეთ ვალი

საცა არის ალბათ წავალ,  
ბოლო მოეღება ლოდინს,  
რაც არ უნდა არ მინდოდეს,  
მოსასვლელი მაინც მოდის...  
წავალ, დამთავრდება სევდა,  
სიხარულიც დამთავრდება,  
მზე აიკრეფს სპეტაკ სხივებს,  
სამუდამოდ დალამდება.

და წამყვება იქეთ ვალი,  
ვალი ღვთის და ვალი კაცის.  
აუშენებელი ტაძრის,  
დაუმთავრებელი საქმის...  
– ლმერთო, ამარიდე დარდი,  
ამ უკმარისობის განცდის!

20.05.2011



## პედიერების ახალი წელი

ღამეებს ვათევ შენზე ლოცვაში  
სამშობლოვ, ჩემო, სასწაულს ველი  
ღმერთო, მომადლე ჩემს ბედკრულ მამულს  
ბედნიერების ახალი წელი!

ქვეყანა ითხოვს სასწრაფოდ შველას,  
პატრონი უნდა გათელილ ვენახს,  
ცეცხლის ანთება ჩვენს ჩამქრალ კერას,  
სულის სიმშვიდე პოეტს და მწერალს.

ღმერთო, ისმინე ეს ლოცვა წმინდა  
და საქართველოს, მის ცას და მიწას,  
დედა ლვისმშობლის წილხვდომილ ედემს  
მიეც ის, რასაც ოდითგან ეძებს:

პატრონი, როგორც დიდი დავითი,  
გულმხურველე, მხნე, სულით მაღალი,  
სამშობლოსათვის თვავდადებული  
ჭირისუფალი, როგორც თამარი!



ნატგიჩ ფერბილაძე

ო, როგორ მინდა, ო, როგორ მინდა  
ლმერთო, ისმინო ეს ლოცვა წმინდა!  
– მამულო ჩემო აღსდექ, იდიდე,  
მოგვეც, უფალო სულის სიმშვიდე!

– ლმერთო, მისმინე,  
ლმერთო, მისმინე!

25.12.2016



\* \* \*

რასაც მოგცემს ღმერთი,  
თან წაილებს ისევ,  
ამ სიკეთის მადლი,  
თუ ვერ შევიღირსე.

თუ ვერა გაუგე  
ამ დროს, სწრაფად მავალს,  
სინანულის ცრემლებს  
გალვრევინებს მრავალს.



ნატგიჩ ფერბილაძე

გაფრინდება დრო და  
გაფრინდება წამი,  
წამში დასრულდება  
შენი ყოფნის ჟამი.

\* \* \*

მე შენთვის და  
შენ კი სხვისთვის  
დავიხარჯოთ  
მოყვასისთვის.  
ვიღვაწოთ და  
ვიარსებოთ  
მადლისა და  
სიკეთისთვის.  
თუნდაც სხვისთვის  
მხოლოდ სხვისთვის  
უიმედოთ იმედისთვის!

17.01.2017



## ავაგზაურებ კვლავ ჩემ იმადებს

ყოველ განთიადს,  
დილა ადრიან,  
მე უფალს ასე  
ვეჩურჩულები:  
— ავი და უნდო  
არ ვარ  
სრულებით.  
სინდის და რწმენას  
ვემსახურები.  
მინდა კვლავ ვიგრძნო  
ძალა ულევი.  
სხვებს დავეხმარო  
მქონდეს ფულები...

სიხარულით და  
რწმენით ავავსო,  
გავახალისო  
მათი გულები.  
ლალი ვარ ჯერაც,  
სიკეთის მჯერა...



ნატგიჩ ფერბილაბე

თუკი იესო  
კვლავაც ინებებ,  
ჩემთვის წყალობას  
გამოიმეტებ,  
ძალას მოვიკრებ,  
გავხალისდები,  
ავამზეურებ  
კვლავ ჩემს იმედებს

17.01.2017



## რაჭა, ჩემო სიყვარულო

ხოტბას ვუძლვნი რაჭის ედემს,  
დიდ სიყვარულს ჩემს,  
ფიროსმანის ფუნჯით ნაქარგ  
ზურმუხტოვან მთებს.

ზღაპრულ მხარეს, მის წიაღში  
გატარებულ წლებს.  
ჩემს ბავშვობას –  
ლალს, უზრუნველს...



ნატგიჩ ფერბილაბე

იქ ამოსულ მზეს,  
უსაყვარლეს ამბროლაურს,  
სიყმაწვილის წლებს.

და იმ წლებში იქ მცხოვრებ ხალხს  
გონიერს და ბრძენს,  
გარეგნობით გამორჩეულს  
სულით მშვენიერს!

– შენს მიწაზე დავიბადე  
რას ვინატრებ მეტს?!  
ყველაფრისთვის,  
რაც იქ მქონდა  
ვმადლობ მაღარლ ღმერთს!

2.02.2017



ნიკორწმინდის ფასადის ორნამენტი



### „ზეცის კაცი და ქვეყნის ანგელოზი“

საქართველოში არ მეგულება თუნდაც ერთი ქრისტიანი, ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე განსაკუთრებული დიდი სიყვარულით რომ არ უყვარდეს. მას ერთს მამად, მეორე ილიად მოვიხსენებთ: იგი ერთი ყველაზე გამორჩეული ლიდერია სამშობლოს ბედზე, მის აწმყოსა და მომავალზე რომ წუხს დღენიადაგ. მუდამ მუხლმოყრით ავედრებს უფალს ჩვენს ბედკრულ მამულს, რას არა ცდილობს ერთს გამრავლებისთვის... ამიტომაც გვიყვარს ასე გამორჩეული



სიყვარულით და მის დიდხანს სიცოცხლეს  
ჩვენც მუხლმოდრეკით შევთხოვთ ლვთისმ-  
შობელს!

პირველი დიდი შთაბეჭდილება მასზე 36  
წლის წინათ დაბა ფასანაურში ჩაიბეჭდა ჩემს  
სულსა და გულში და დაუვიწყარ მოგონებად  
იქცა...

ივლისის აუტანელი ხვატი იდგა,  
თბილისში გაძლება ჭირდა. გადავწყვიტე,  
ფასანაურში, შავი არაგვის სიგრილისათვის  
შემეფარებინა თავი. მეორე დღეს მართლაც  
ტყემლიანის ჭალებში, არაგვის პირზე მცხ-  
ოვრებ ჩემს დას და სიძეს (არჩილ აფციაურს)  
ვენვიე სტუმრად. ძალიან გაიხარეს და მაშ-  
ინვე მახარეს: დღეს ჩვენი პატრიარქი შავ  
არაგვს აკურთხებს და ამ შესანიშნავ რე-  
ლიგიურ რიტუალს ერთად შევხვდეთო. სიხ-  
არულით ცას ვენიე. მალე გავემართეთ ჩვენი  
სახლის ზემოთ, იმ ადგილისაკენ, სადაც ცა-  
დაზიდულ მთებს შორის ლალად და უდარ-  
დელად მოედინება არაგვი. განსაკუთრებით

ლამაზია ის ადგილი, სადაც არაგვი შედარებით მშვიდია, მორევს ქმნის და მის ტალ-ლებში ცურვა ენით უთქმელი სიამოვნების მომგვრელია. მარცხენა მხრიდან, სალი კლდის თავზე მას გუდამაყრისკენ მიმავალი გზა ესაზღვრება, მარჯვნივ კი ქვიშიანი ნაპირია – თხმელისა და მუხნარის ჩრდილით შემოსილი.

სწორედ აქ, ამ ზღაპრულ სამყაროში, გაშლილი არაგვის სილრმეში შესული ვიხილე ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი დიდი ვერცხლის ჯვრით ხელში, როცა იგი არაგვს აკურთხებდა! იქვე ნაპირზე ბერ-მონაზვნები და ამ რიტუალის სახილველად მისული ხალხი იყო თავშეყრილი. ჩემმა დამ - გულნაზიმ იყოჩალა და სწორედ იქ, წინმდგომ მონაზვნებთან გამიყვანა, რათა უფრო ახლოდან გვეხილა ეს ზღაპრული სანახაობა. როცა შევხედე არაგვის სილრმეში მდგარ ჩვენს პატრიარქს იორდანეში მდგარი იოანე ნათლისმცემელი გამახსენდა — ნეტა ასეთი მშვენიერი გარეგნობის თუ იყო ნათლისმცემელი-მეთქი, გავიფიქრე.



ცოტა ხანში არაგვის კურთხევა დასრულდა, პატრიარქი ჩვენსკენ გამოემართა და ულამაზესი ღიმილით მოგვილოცა ეს დღე, თან ხელის მკვეთრი და ენერგიული მოძრაობით უშურველად გვასხურებდა მზის სხივებზე შავი ბრილიანტის მძივებივით აელვარებულ შავი არაგვის ახლადნაკურთხ წყალს! ყველა ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი წყალი მოხვედროდა. ჩვენი პატრიარქი კი ჩვენთვის ამ სიამოვნებას არ იშურებდა და საოცარი ხალისით, თბილი და ბედნიერი ღიმილით გვისრულებდა გულის წადილს...

ახლაც თვალნინ მიდგას ის სანახაობა. ზეციდან ჩამოსულ ლმერთკაცს ჰეგავდა მაშინ სრულიად ახალგაზრდა ჩვენი პატრიარქი.

მას შემდეგ ბევრი წელი გავიდა, მის არაჩვეულებრივ წირვებსაც ბევრჯერ დავსწრებივარ და, როცა გაზეთ „რაეოს“ რედაქციაში საგვარეულო სალამოების ორგანიზების მშვენიერ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი, რა თქმა უნდა, გამიჩნდა სურვილი ჩვენი პატრიარქის ერისკაცობისდროინ-



დელი გვარი — ლუდუშაურები მომენტია თავისი განშტოებებით.

1999 წლის ივნისში მართლაც განსაკუთრებული მონდომებით დავიწყე მუშაობა ამ საგვარეულოს მოწვევისათვის. სამი კვირის მუშაობის შემდეგ საღამო მზად მქონდა ჩასატარებლად. ორი დღით ადრე პატრიარქს ვაცნობეთ ეს ამბავი და ვთხოვეთ თავად ეკურთხებინა საგვარეულო, რაზეც დიდი სიამოვნება გამოხატა და „რაეოს“ მთელი რედაქცია, მოწვეული სტუმრებითურთ დანიშნული დღისთვის საპატრიარქოში მიგვიპატიუა.

ის დღე არასოდეს დამავიწყდება. მთელი გაზეთ „რაეოს“ წარმომადგენლობა, გვარებთან მომუშავე პროფესორებით, საპატრიარქოს ვენვიეთ. დარბაზში შევედით თუ არა, თვალი მომტაცა ხევის ულამაზესმა ბუნებამ, სცენის უკანა კედელზე პატრიარქის მიერ დახატული სწორი ციხე იმზირებოდა, რომელიც საოცრად ესადაგებოდა იმდღევანდელ საღამოს შინაარსს.



დარბაზი სავსე იყო სტუმრებით. გვერდით, კედლებთან ჩამნკრივებულ სკამებზე ისხდნენ სამღვდელოების წარმომადგენლები, ბერ-მონაზვნები.

სცენისკენ გავემართე, რომ ეს დიდი სალამო წარმემართა. მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, სცენაზე უკვე დამხვდა მომლიმარი მარინა წერეთელი და მითხრა, პატრიარქს სურს, რომ დღევანდელი სალამო მე წავიყვანო. მოულოდნელობისაგან გავშრი, რომ იტყვიან, გავოგნდი მისი ასეთი მოქმედებით. ეს ქალბატონი 3 დღის წინ რედაქციაში იყო ჩემთან მოსული და საყვედლურებით ამავსო: ამ გვარის მოწვევაზე 3 წელია ვოცნებობ და შენ ასე მალე ეს როგორ მოახერხეო? მე ეს ხუმრობად ჩავთვალე და ლიმილით მივუგე: ამ სურვილის შესრულებას ჩემი მხოლოდ 3 კვირის მუშაობა დასჭირდა-მეთქი.

და აი ახლა იგი სრული სერიოზულობით იდგა სცენაზე და არავითარ უხერხულობას არ გრძნობდა, ისე მიჰყავდა ჩემი დიდი შრომით მოწვეული ეს სალამო.



ვის არ მოუხმო მან სცენაზე, ვინ არ  
ასაუბრა, მაგრამ მე არც კი ვუხსენებივარ,  
ჩემსკენ ერთხელაც არ გამოუხედავს. ვი-  
ჯექი ასე, საშინლად შეურაცხყოფილი! თავს  
ძლივს ვიკავებდი, რომ არ მეტირა. ჩუმად  
ღმერთს ვევედრებოდი, მოეცა ჩემთვის ის  
ძალა, რომ ავსულიყავი სცენაზე და დარბაზს  
მივსალმებოდი.

საბედნიეროდ, ასეც მოხდა: როცა ბოლო  
გამომსვლელიც ჩამოვიდა სცენიდან, რაღაც  
ძალამ სკამიდან წამომაგდო, სამ თუ თოხ-  
საფეხურიან კიბეზე ლალი და მხიარული ღი-  
მილით ამიყვანა, ასეთივე სილალით დამაყენა  
შუა სცენაზე და მათქმევინა: საღამო მშვი-  
დობისა ბატონებო და ქალბატონებო, საღა-  
მო მშვიდობისა ჩვენო უწმინდესო და უნე-  
ტარესო! ვთქვი ეს და უდიდესი მოწინებით  
დავუხარე თავი ჩვენს პატრიარქეს...

მერე ხალხს მივუბრუნდი და დავიწყე:  
ეს მე ვარ ნარგიზ ტურძილაძე, სამი კვირის  
მანძილზე მოსვენებას რომ არ გაძლევდით.  
დღისით თუ ღამით, დროით თუ უდროოდ  
რომ გირეკავდით და გიხმობდით დღევან-

ლოტ

ნატგიჩ ფუტბილაბე  
დელ საგვარეულო სალამოზე. ჩემი პატრი-  
არქის დიდმა სიყვარულმა და თქვენი გახ-  
არების სურვილმა მომცა ეს ძალა ამ მოკლე  
დროში ყველა ღუდუშაურთან, პაპიაშვილთ-  
ან ჯანუკაშვილსა თუ შიომლაშვილთან დამ-  
ემყარებინა კავშირი... დიდი მადლობა, რომ  
არ გამაწბილეთ და მობრძანდით. უდიდესი  
მადლობა პატრიარქს, რომ ამდენი სტუმარი  
აქ, ღმერთების ამ საუფლოში მიგვიღო.

მადლობელი ვარ ქალბატონი მარინასიც,  
რომელმაც მოახერხა და ჩემი მომზადებუ-  
ლი სალამოს წაყვანით სამი წლის ოცნება  
აისრულა...

ნება მომეცით, ეს ჩემი პატარა მისალმე-  
ბა ილია ჭავჭავაძის ლოცვით დავასრულო;  
ვფიქრობ, ეს ლოცვა ძალიან მოუხდება  
დღევანდელ დღეს და ამ შესანიშნავ დარბა-  
ზს, მით უმეტეს, თუ მგალობელთა გუნდიც  
ფონად ერთ ლამაზ საგალობელს გაუკეთებს.  
ვთქვი ეს თუ არა, გაისმა „შენ ხარ ვენახი“...  
ძალიან დაბალ ხმაზე ამღერდა მგალობელთა  
გუნდი და მეც მთელი გრძნობით წავიკითხე  
ილიას ლოცვა:



„დედაო ლვითისა, ეს ქვეყანა შენი ხვედრია,  
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა.  
საღმრთოდ მიიღე სისხლი,  
რომელ ამ ხალხს უღვრია,  
ჩაგრულთ სასომ, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა.  
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტან ჯვად ეყოფა,  
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,  
სახელოვანი განუახლე ჩაგრულ დღედ ყოფნა,  
მამაპაპური სული, გული მომადლე ხალხსა.  
ძლიერო ღმერთო, შენთვის რბოდნენ

ქართვლისა ძენი,

დასაბამითვე არ იციან რა არს მშვიდობა.

მომადლე ქართველთ ქართლის ნდობა

და სიყვარული

და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული.

ოი, სახიერო, ცისარტყელა განავლე ცასა,

რათა წარლვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა“.

მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი მიკრავ-  
და ტაშს...

– მადლობა, ღმერთო! – ვჩურჩულებდი  
გულში. უცებ დავინახე, რომ თვით პატრი-  
არქი მოემართებოდა ჩემსკენ, მე კი უზომოდ



ბედნიერმა მუხლი მოვიყარე მისი უწმინდესობის წინაშე. მან თავზე ხელი დამადო, დამლოცა თავისი ულამაზესი ღულუნა ხმით და მადლობა მითხრა...

ეს იყო ის, რისთვისაც ღირდა ყველაფერი: ის შრომაც, ის წყენაც და შეურაცხყოფაც... და მე ვმადლობდი უფალს, რომ მომცა ძალა ასე დასრულებულიყო ეს საღამო.

იმ საღამოს მეორე განყოფილება არაჩვეულებრივ სუფრას დაეთმო::

იმ დღის შემდეგ 17 მძიმე წელი გავიდა. ცხოვრებამ ფერი იცვალა. კიდევ უფრო ჩამუქდა... მეც, მეც ვიცვალე ფერი. ყველაფერი წარსულში დარჩა. ახლა ლამაზი მოგონებებითლა ვცოცხლობ. ჩემი პატრიარქი ისევ ძალიან, ძალიან მიყვარს და ღმერთს ვევედრები, დიდხანს გვიცოცხლოს და მისი ღოცვაის მადლი არ მოაკლოს ჩვენს ბედვრულ მამულს. 2011 წელს მის ბრწყინვალებას საიუბილეოდ ღექსების პატარა კრებული მივუძღვენი. ამ კრებულში ბევრი ღექსი პირადად მას ეძღვნება. სწორედ ერთ-ერთი ამ ღექსთაგანით მინდა დავასრულო ჩემი ეს წერილი:

„მამა და პატრონი საქართველოისი  
ზეცის კაცი და ქვეყნის ანგელოზი“  
გულსავსე, გულწმინდა, იმედის მომცემი,  
ყოველ წუთს, ყოველ წამს, ხალხისთვის  
მღოცველი  
ძილშიაც არ ძინავს, სამშობლო ადარდებს,  
ხალხის სიკეთისთვის არ ზოგავს არაფერს.

მის ლოცვა-ვედრებას შეისმენს უფალი,  
მნამს გაუმრავლდება ერს ჭირისუფალი...  
მთესველი და მხვნელი, ერთგული,  
გულწრფელი  
ხალხით აივსება, ჩვენი მთა და ველი.  
იხარებს პატრონი საქართველოისი –  
„ზეცის კაცი და ქვეყნის ანგელოზი“





## 3 ე დ რ ე ბ ა

სინანული მკლავს, დარდი მლევს,  
განკითხვას შიშით მოველი.  
რაც შემეშალა, ვერ შევძელ  
მომევითხება ყოველი...  
უფალო ღმერთო, ძეო ღვთისა,  
ვარ მუდამ შენზე მლოცველი  
მშიერი იყვა, ვერ გარგე,  
ვერ მოგიკალი წყურვილი,  
მათხოვარი ვერ შეგმოსე,  
ვერ მოვიშალე ტუილი,  
დაჭრილს ფარად ვერ ვეფარე,  
მტირალს ცრემლი ვერ შეუშრე,  
ქვეყნად გაჩენის სიკეთე  
რა ვქნა, ვერაფრით შევიშნე...  
არა ვარ ლირსი, მაინც გთხოვ,  
გთხოვ დიდსულოვნად შემინდე!  
შემინდე, რაც ვერ ვაკეთე,  
ვერ ვახეირე ნათლადა...  
მაინც შემინდე ბედკრულს, გთხოვ  
შენთვის დამანთე სანთლადა!

# გმაღლობით ღმურთი

სარჩევი



* * * (ღმერთო, შემინდე...)	5
ხატის წინ.....	6
* * * (ნეტავი მას...).	7
მოვაძი, რათა მიყვარდე, ღვერთო	8
შემინდე, ღვერთო!11	
„ნეტარ არიან მორცეუნეი“.....	12
* * * (ჩვენ ყველა...)	13
ღვერთო ამისრულე საცალელი!	14
* * * (ღმერთო, ამარიდე...)	15
* * * (თუკი ღმერთო...)	15
უფლის რჩეული.....	16
ვარ შენებ მლოცველი .....	17
უფალო, შემიყალე!	18
სულ შენებ ვლოცულობ	20
მხსნელი მინდა მაღლიანი.....	23
არ მოეჭვა, არ დაცხრე!	24
* * * (ღმერთო, მაცოცხლე...)	25
მაღლობელი ღვერთისა	26
ილია მორჩეს .....	27
ღვთისმოგოლო შენ კალთა დამაფარე!	28
ჩიმი სტუგარი .....	30
მოჭი, უფალო იესო!	31

# ლიტორა

## ნატგიჩ ფუტბოლაბე

ასეთია უფლის ხება.....	32
გადავიღალე .....	34
მაჟო გეგო.....	35
მი მოვალ ცვიმად .....	36
* * * (გთხოვ, წყალობა...) .....	36
მინდა კელაპტრად დავენოო .....	37
მამა გაპრიელს .....	37
ივსოს .....	38
მინდა გიორგის .....	39
მინდა ელის .....	40
ახალი ცელი .....	42
უფლის ხელი .....	43
ღმერთო .....	44
* * * (ტაძარში იწვის...) .....	44
ჰევლს არ ვითხოვ .....	45
მამა გაპრიელს .....	46
დედა თამარს .....	46
მამავ, ძევ და სულიმონდავ .....	47
გიველერები, ნიკო მინდავ! .....	48
სამშობლო ჩემი საფიცერის .....	49
მი მაინც გმაღლობ .....	50
ლეონიძე ტურქელაძე .....	53
ლევი ტურქელაძე .....	53
დედა ღვთისებროვალს .....	56
ღმერთის ესმოდა ჩემი ღოცვა .....	57

გრადლობით ღმურთი	ლინკი
მაავ, ძევ და სულიმენდა	57
უფალო მისინე!	58
გეგლილი სული გადამირჩინე	59
და უიღგლო სიყვარულეა ახაცრემლა	59
ამინ, იყოს!	60
ვეძრება	61
ნე შემაეცევ ზურგს უფალო!	62
* * * (ნეტა ჩემს...)	62
* * * (ოდენ დარდისა...)	63
მინდა ელის	64
საძართველო იყო მათი სალოცავი	66
* * * (ისე მაცოცხლე...)	67
საგალობელი	68
უფალო, შემიწყალე!	69
აქ სულ ახლოა ღმერთი	70
უფალო პასუხს ველი	71
აბა, რა მიხარია?!	72
ლოცვა	73
ღმერთო ნიკოს დაეხმარე!	73
მაა გაპრიელ სალოსს	74
თეას ნეცას	75
მართონობის სავჭა	76
* * * (უფალო, შემაძლებინე...)	77
ღვთისმორჩეული მატო პეპო	78
ქრისტე აღდგე!	80

# ლიტერატურა

## ნატგიჩ ფუტბილაძე

სამეცნიერო კონფერენცია.....	82
ჩივი იქსო.....	83
შემინდე, უფალო.....	84
ლოცვა .....	85
შეი გადლი ეცეოდეს.....	85
მე პოლოგი შეი მნახს და.....	86
* * * (ღმერთო...) .....	87
საჭოავავთა პატარძალო.....	88
ღირსო მამა გაპრიელ .....	90
აღმსარებელო - საჭოსო.....	90
უცდა მიხვდე თავად.....	92
ზაფხული ზნაკვაში .....	93
ღმერთო, როდის? .....	95
მარტოობა.....	96
მაპატიე .....	97
პაპა პურტანიძეს .....	98
ვინც გადლს თესავს .....	99
გადლობათ ღმერთო .....	100
როცა მე წავალ .....	103
გადლობათ, უფალო!.....	104
მამა და პატრიცი საქართველოსი .....	105
„ზეცის კაცი და ქვეყნის ანგელოზი“ .....	105
გიორგობის თვეში.....	106
თავზე მატად მიყვარს ღმერთი .....	108
მიყვარხარ, ჩემო უნეტარესო!.....	110

<b>გრადლობით ღმურთო</b>	<b>ლენტა</b>
ფსალმუნი - ისაო ჩემო	111
ჩემს მოქავარს - მარა ანდრიას	112
იქნებ კიდევ ვილზინო	114
საღლეგრძელო	116
მხოლოდღა ერთი სურვილი დამრჩა	117
ღერთო, გვიგველე	118
მაინდ მჯერა	119
მჯერა დამაცლი	120
გიორგობაა	122
სანამ გული ფხელია	123
უფრო მეტი	124
შეთან მოსასვლელი	125
გზები გამისენი	125
სამაღლოგველი	126
ოოდის გზა გაუსენ ამ პიზიპს!	128
და ცამყვება იქათ ვალი	29
ჰელინერების ახალი ცელი	130
* * * (რასაც მოგცემს ღმერთი...)	132
* * * (მე შენოვის და...)	133
ავამზეურებ კვლავ ჩემ იგეძეგს	134
რაჭა, ჩემო ციყვარულო	136
„ზეცის კაცი და ევეფის ანგელოზი“	138
ვეღრება	149



9 789941 097188

A standard one-dimensional barcode is positioned within a white rectangular box. Below the barcode, the numbers "9 789941 097188" are printed in a small, black, sans-serif font, separated by vertical lines.